საერთო გაზეთი

№29 (487) • 8 აგვისტო, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ვახტანგ ხარჩილავა:

ჰაერის ძეგლი ლევან ვასაძისთვის

საქართველო დიდი ხანია უსმენს ლევან ვასაძეს, უსმენს და გული იმედით ევსება, რომ ეს კაცი ლაპარაკიდან სულ მალე საქმეზე გადავა და მის ბედკრულ სამშობლოს უშველის, მაგრამ ამაოა ჩვენი მოლოდინი — ვასაძე ისევ ლაპარაკობს და ლაპარაკობს, ლაპარაკობს და ლაპარაკობს, ლაპარაკიდან კი საქმეზე გადასვლას ჯერჯერობით არ ჩქარობს.

* * *

ბიძინა ივანიშვილს თუ ორი ძეგლი უნდა დავუდგათ, თქვენ ერთს მაინც დაგიდგამდით, ეს სამადლო და მამულიშვილური საქმე რომ გაგეკეთებინათ,

აბა, მხოლოდ ლაპარაკში ჰაერის ძეგლს რომ არ დაგიდგამთ, ბატონო ლევან?!

„ნაციონალის“ ან ყოფილი „ნაციონალის“ გაპრეზიდენტება კი არა მათი გვარ-სახელის ბიულეტენში შეტანაც კი ქართველი ხალხის უდიდესი შეურაცხყოფაა

გაგრძელება.
დასაწყისი „ს.გ“ N28

გელა ზედელაშვილი:

ღალატის ანატომია

უმადურთა მოდგმა

ვინ, როგორ და რატომ ულალატა ბიძინა ივანიშვილს?!

ვაი, მართლა შენ რა გითხარი, გუბაზ, „აქუ“ რომ ქირქილებს, ჩემთვის გასაგებია — ამბობენ, ტელევიზიის ოფისს რომ აშენებდა, ბიძინამ ბლოკის ფული არ მისცაო, მაგრამ შენ ხომ დაგაფასა, შენ ხომ აგიღო და პარლამენტში დაგდო? ჰო, დაგდო, დაიძინე, ოთხი წლის შემდეგ გაიღვიძე და რაკი მეორედ აღარ დაგდო, მტრად მოეკიდე.

ცოტნე, მამაშენსაც პროვინციელ ფაშისტს, ხიხოს და გაუნათლებელს ეძახდნენ... მე არ ვიცი, ასეთი რა გეწყინა ივანიშვილისგან, ან საიდან დაასკვენი, რომ ის ხიხოა, მაგრამ ერთს აშკარად ვხედავ, შენ დგახარ იმ ბრბოს გვერდით, რომელმაც მამაშენს და შენს ოჯახს მოუღო ბოლო.

მაინც რით არის უკმაყოფილო მუსულმანი მოსახლეობა მეჩეთებით მოჩითულ საქართველოში?

რა მსგავსებაა ხადას ხეობაში მომხდარ ტრაგედიასა და 25 წლის წინათ მომხდარ ვუდროფის მკვლელობას შორის?

გელა ზედელაშვილი

ღალატის ანატომია

უმადურთა მოდგმა

ვინ, როგორ და რატომ უღალატა ბიძინა ივანიშვილს?!

(გაგრძელება. დასაწყისი „ს.გ“ N28)

საქართველოში ერთი უცნაური ტენდენციაა დამკვიდრებული... უფრო სწორად, ეს ტენდენცია კი არა, შავი პიარის ნაყოფი უფრო გახლავთ, რაც საზოგადოების ნაწილზე დამანგრევლად მოქმედებს. პრინციპში, ამას თვით მოსახლეობის დაქვეითებული აზროვნებაც უწყობს ხელს. თუ ბიძინა ივანიშვილზე სიმართლეს იტყვი და მადლიერებას გამოხატავ, ეგრევე წამოგესევიან და ეშაფოტზე შეგსვამენ — “ივანიშვილს “აპრავებ”, ბიჭოოო”?! “ვინ დაგიკვეთა”?! “რამდენს გიხდიან”?! სიმართლე გითხრათ, ამ დროს მეცინება (თუმცა სასაცილო სულაც არ არის) და გულში ვფიქრობ: კი, მაგრამ რაში სჭირდება ივანიშვილს ჩემი “გაპრავება”? არც არაფერში... ასეთებს, ალბათ, ვერ ავუხსნი, რომ სიმართლეს ისევ უმადურთა სასარგებლოდ ვამბობ, რათა მათი მოდგმა ცოდვებისგან ვიხსნა. ზოგიერთი მეტყვის, შენ ვინ უნდა იხსნა, ქრისტე ღმერთი ხომ არა ხარო? არა, არც ქრისტე ღმერთი ვარ და არც მისი რომელიმე მოციქული, მაგრამ ვინაიდან ბევრი ვიცი, ბევრი მინახავს და ბევრი გამიგონია, იძულებული ვარ, ხან ვწერო, ხან — ვილაპარაკო და ბევრი ავაზაკი გამოვააშკარავო. აი, სიმართლე კიდევ, როგორც ძველები ამბობენ, ჯანის, სულისა და გონების სისაღეა. სხვათა შორის, ამ უმადურობის შემყურეს ჩემი პირველი პრეზიდენტის, **ზვიად გამსახურდიას** პერიოდი მახსენდება — მაშინაც ასე მკიცხავდნენ: “გამსახურდიას “აპრავებ”, ბიჭოოო”?! არა, კაცო, რას “ვაპრავებ”, უბრალოდ გული მწყდება, ამდენი მოღალატე რომ აღმოაჩნდა და ამდენი ნაძირალა წაესია-მეთქი. იცით, ახლა რაზე მწყდება გული? იმაზე, რომ როცა გამსახურდიას “გაპრავებაზე” მელაპარაკებოდნენ, თითქოს თავს ვიმართლებდი, იმ დროს ტელე-რადიო კომიტეტში (დღევანდელ “საზოგადოებრივ მაუწყებელში) ვმუშაობდი და თითქოს ღვარად მოვარდნილ უბედურებას მაინც ანგარიშს ვუწევდი. ზოგს ჰგონია, თენგიზ კიტოვანი ტყეში გავარდა, თენგიზ სიგუა ზღვაზე დაბანაკდა, ჯაბა იოსელიანმა ავტომატი ააკაკანა და მორჩა, ასე დაემხო ეროვნული ხელისუფლება. არა, ამ ყველაფერს თან ახლდა შავი პიარი საქართველოდან რუსეთის მიმართულებით, სადაც მოღალატეებს **ედუარდ შევარდნაძე** ეგულებოდათ. ასევე, შავი პიარი რუსეთიდან საქართველოსკენ. მახსოვს, იმ დაძაბულ დღეებში როგორ ჩამოატარეს ტელე-რადიო კომიტეტის ყველა განყოფილებაში ბორის ელცინთან გასაგზავნი წერილი და როგორ მოგვთხოვეს ყველას ხელის მოწერა. 95-მა პროცენტმა მოაწერა, ის 95 პროცენტი დღეს ძალიან ყელყელაობს და ისევ ტელევიზორით გველაპარაკება პატრიოტიზმზე, პატიოსნებაზე, კორუფციასა და პროდასავლურ ღირებულებებზე. წერილს ხელს აწერდნენ ჩვენი სასიქადულო ინტელიგენციის წევრები — მწერლები, მუსიკოსები, მხატვრები, მეცნიერები და ასე შემდეგ. რუსეთში გასაგზავნ წერილში ეწერა:

“ძვირფასო ბორის ნიკალაევიჩ, საქართველოში ზვიად გამსახურდიას თაოსნობით დამყარდა პროვინციული ფაშიზმი. გთხოვთ, დაგვეხმაროთ, რათა ჩვენთანაც დამყარდეს დემოკრატია”.

იქ კიდევ ბევრი რამე ეწერა, ლანძღავდნენ გამსახურდიას და აქებდნენ შევარდნაძეს. სამწუხაროდ, მაშინ არც მობილურები გვქონდა და არც ქსეროქსები, რომ ამ წერილის ასლი ჩამეგდო ხელში და დღეს გამომექვეყნებინა. რაღაცას ანგარიშს ვუწევდი-მეთქი, გითხარით და იცით, რას ვგულისხმობ? მიუხედავად იმისა, რომ არც წერილზე მომიწერია ხელი და არც ბილწთ შევკვრივარ ზავითა, წლების განმავლობაში მაინც მათ გვერდით ვიჯექი.

მადლობა ღმერთს, დღეს არც ავტომატის აკაკანება შეუძლია ვინმეს, არც ტყეში გავარდნა და არც თბილისის ზღვაზე დაბანაკება, მაგრამ დარჩა მეთოდი და სიტყვა, რაც ისევ ძველებურად მოქმედებს საზოგადოების ნაწილზე. **დიახ, მსოფლიო დონეზე დაიხვეწა ტექნოლოგიები, აჩქარდა დრო, არნახულ პიკს მიაღწია ინფორმაციის გავრცელების სისწრაფემ, დაიხვეწა ადამიანების აზროვნებაც, მაგრამ ამ მხრივ ქართულ ყოფას არაფერი ეშველა – ბიძინა ივანიშვილსაც იგივე მეთოდებით ებრძვიან, როგორც ებრძოდნენ ზვიად გამსახურდიას.** ახლა გამოხტებიან ვიღაცები და დამამუნათებენ — ზვიადს და ბიძინას ერთმანეთს ადარებ, ბიჭოოო?! არა, არ ვადარებ, ის სხვა ეპოქა იყო, გამსახურდიამ სხვა გზა გაიარა და ხან იმასაც ვფიქრობ, თავისმა ნამეტანმა პატიოსნებამ და მიამიტობამ დაღუპა. ივანიშვილი მმართველთა სხვა კატეგორიას განეკუთვნება, სხვა დროში მოუწია მოღვაწეობა გამსახურდიას და ივანიშვილს. თუმცა ამ ორ ადამიანს ნამდვილად აქვს საერთო — პირველმა კომუნისტური რეჟიმი ჩამოგვაშორა, მეორემ – კომუნისტებზე უარესი მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალური“ ხროვა!

ჰო, ბინძურთა ბრძოლის მეთოდებზე მოგახსენებდით... აქ ერთ “საუკეთესო” მაგალითს მოგიტანთ: ბოლო ერთი წლის განმავლობაში ივანიშვილის ლანძღვაში ათენ-აღამებს პირველი პრეზიდენტის შვილი, **ცოტნე გამსახურდია** — ბიძინას უწოდებს გაუნათ-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აღლაქის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ცოტნე, მამაშენსაც პროვინციელ ფაშისტს, ხიხოს და გაუნათლებელს ეძახდნენ, ხოლო ჩვენ, მის მომხრეებს — ასევე ხიხოებს, გაუნათლებლებს, სოფლელებს, სუნიანებს, აყროლებულებს! მე არ ვიცი, ასეთი რა გეწყინა ივანიშვილისგან, ან საიდან დაასკვენი, რომ ის ხიხოა, მაგრამ ერთს აშკარად ვხედავ, შენ დგახარ იმ ბრბოს გვერდით, რომელმაც მამაშენს და შენს ოჯახს მოუღო ბოლო.

ლებელს, ხიხოს, ყაჩაღს და რაღას არა. ბევრჯერ ვიფიქრე, მისთვის პირადად მიმეწერა, მაგრამ თავი შევიკავე. ახლა კი მინდა, შევახსენო: ცოტნე, შენ მაშინ ბავშვი იყავი და შეიძლება არ გახსოვს, როცა შევარდნაძის მომხრე ე.წ. ელიტარულმა საზოგადოებამ შუბლის ძარღვი ბოლომდე გაიწყვიტა, მამაშენსაც პროვინციელ ფაშისტს, ხიხოს და გაუნათლებელს ეძახდნენ, ხოლო ჩვენ, მის მომხრეებს — ასევე ხიხოებს, გაუნათლებლებს, სოფლელებს, სუნიანებს, აყროლებულებს! სასაცილოა, არა? თითქოს ზვიად გამსახურდიას გაუნათლებლობა არავის უნდა დაეჯერებინა, არც მისი ფაშისტობა და დიქტატორობა, მაგრამ მასამ, ბრბომ დაიჯერა. მეტიც, იგივე ბრბომ იწამა, თითქოს პირველმა პრეზიდენტმა კახელებს შაჰ-აბასის ნაბიჭვრები უწოდა. ცოტნე, მე არ ვიცი, ასეთი რა გეწყინა ივანიშვილისგან, ან საიდან დაასკვენი, რომ ის ხიხოა, მაგრამ ერთს აშკარად ვხედავ, შენ დგახარ იმ ბრბოს გვერდით, რომელმაც მამაშენს და შენს ოჯახს მოუღო ბოლო. ვინ, ვინ და... შენ ყველაზე მეტად გამოსცადე საკუთარ თავზე სააკაშვილის რეჟიმის მსახვრალი ხელი!

მე, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, 1990-იან წლებში ვიყავი იქ, საიდანაც ძალიან კარგად ჩანდა საქართველოს მდგომარეობა, ძალიან კარგად ვხედავდი, ვინ რას აკეთებდა და ვინ რას ჩალიჩობდა ქვეყნის დასამხობად. ასევე, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, 2011 წლიდან მოყოლებული (მანამდეც) ვდგავარ იქ, საიდანაც ძალიან კარგად ჩანს, ვინ რას აკეთებს, ვინ როგორ ცდილობს არა მხოლოდ ივანიშვილის, არამედ ქვეყნის დამხობას. აი, ამიტომ "ვაპრავებ" კი არა, ვლაპარაკობ სიმართლეს და სანამ ცოცხალი ვარ, ვილაპარაკებ, რათა მტრებს აღარ მივცე საშუალება, გაიმეორონ 1990-იანი წლების მოვლენები!

უმადურობის მეორე სამაგალითო "ეგზემპლიარი" გახლავთ **გუბაზ სანიკიძე**. არც ამ ადამიანის ხსენებას ვაპირებდი, ჩემი სათქმელი არაერთხელ ვუთხარი პრესის საშუალებით, მაგრამ ამას წინებზე ისეთები ილაპარაკა დავით აქუბარდიას გადაცემაში, ახლაც პირი მაქვს დაღებული. ისაო, ბიძინა ივანიშვილმა ბოლო ინტერვიუში ახლო აღმოსავლეთის პრობლემებზეც ისაუბრა, თურმე იქითაც ვერ ყოფილა საქმე კარგადო. ჰმ... ბატონო ბიძინა, თქვენ რა იცით, რა ხდება ახლო აღმოსავლეთში, ვინ გითხრათ, საიდან გაიგეთო? ბოლოს და ბოლოს, ვინ მოგცათ უფლება, ჭკუა დაგვარიგოთო?! ამ ყოყლოჩინა ბუტაფორიის ბუგბუგს ფონად გასდევდა "აქუს" ქირქილი: ჰა, ჰა, ჰა... ჰი, ჰი, ჰი... ნწუ, ნწუ, ნწუ... შენ რა გითხარი, გუბაზ.

ვაი, მართლა შენ რა გითხარი, გუბაზ, "აქუ" რომ ქირქილებს, ჩემთვის გასაგებია — ამბობენ, ტელევიზიის ოფისს რომ აშენებდა, ბიძინამ ბლოკის ფული არ მისცაო, მაგრამ შენ ხომ დაგაფასა, შენ ხომ აგიღო და პარლამენტში

ვაი, მართლა შენ რა გითხარი, გუბაზ, „აქუ" რომ ქირქილებს, ჩემთვის გასაგებია — ამბობენ, ტელევიზიის ოფისს რომ აშენებდა, ბიძინამ ბლოკის ფული არ მისცაო, მაგრამ შენ ხომ დაგაფასა, შენ ხომ აგიღო და პარლამენტში დაგდო? ჰო, დაგდო, დაიძინე, ოთხი წლის შემდეგ გაიღვიძე და რაკი მეორედ აღარ დაგდო, მტრად მოეკიდე. მე რომ ივანიშვილის ადგილზე ვყოფილიყავი, 2012-შივე ამოგაწევინებდი ტოპრაკას კოალიციიდან იმის გამო, რაც მის ოჯახთან დაკავშირებით იკადრე, მაგრამ სულგრძელია ეს ადამიანი, გაპატია!

დაგდო? ჰო, დაგდო, დაიძინე, ოთხი წლის შემდეგ გაიღვიძე და რაკი მეორედ აღარ დაგდო, მტრად მოეკიდე. მე რომ ივანიშვილის ადგილზე ვყოფილიყავი, 2012-შივე ამოგაწევინებდი ტოპრაკას კოალიციიდან იმის გამო, რაც მის ოჯახთან დაკავშირებით იკადრე, მაგრამ სულგრძელია ეს ადამიანი, გაპატია!

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ: ბატონმა გუბაზმა, დაიგულა რა თავი ქუდში, ეგრევე დაუწყო "შპილკაობა" ივანიშვილს, დაურეკა ვიღაც თანამოაზრეს და სისულელეები და სიბინძურეები აფრქვია. ,ჰო, ეს ვაჟბატონი იმავე ფარულ ჩანაწერში ამბობს, ხელისუფლებაში იმიტომ მოვდივარ, მილიონი დოლარი უნდა ვიშოვოო. აშკარად ვერ იშოვა გუბაზმა მილიონი, არ მისცა ბიძინამ და აჰა, ახლა კვირაში ერთხელ "აქუს" კანტორაში იქარვებს დარდებს.

თქვენ რა იცით, ბატონო ბიძინა, რა ხდება ახლო აღმოსავლეთშიო? — ეკითხება ტელევიზორიდან სანიკიძე ივანიშვილს, წარმოგიდგენიათ? გეგონება, ბიძინას ან წიგნის ყიდვა უჭირს, ან ინტერნეტი არ აქვს, ან გაზეთს ვერ გადაშლის, ან კიდევ პოლიტოლოგებს ვერ დაელაპარაკება. უი, თუმცა ამათი მტკიცებით ხომ ის ხიხო და გაუნათლებელია? აქ ერთი კეისარი მახსენდება (მგონი ცეზარი იყო, გუბაზს ეცოდინება კარგად, მაინც ისტორიკოსია), როდესაც მას სენატის ერთ-ერთი წევრი გადაეკიდა, მიუბრუნდა და ჰკითხა: კი, მაგრამ ჩემგან რა გინდა, შენთვის ხომ სიკეთე არასოდეს გამიკეთებიაო?! აი, გუბაზ, გამოდი ახლა და თქვი, რატომ ელაპარაკები ტელევიზორიდან ივანიშვილს ასე აგდებულად, ასე თავხედურად, იმიტომ, რომ ბევრი სიკეთე გაგიკეთა, ხომ? დიახ, ასეა, მან პარლამენტში დაგდო არა მხოლოდ შენ, არამედ შეტენა შენი "პადელნიკებიც", რომელთა სახეები ქართველმა ხალხმა ვერც კი დაიმახსოვრა. სახეები ჯანდაბას, გვარებსაც ვეღარ ვიხსენებთ. კაცმა შანსი მოგცათ, ძმაო, ოთხი წელიწადი საკმარისი იყო იმისთვის, რომ თავი გამოგეჩინათ და შემდეგ საკუთარი ტრაკით შესულიყავით საკანონმდებლო ორგანოში, რა უნდა გაეკეთებინა მეტი ბიძინა ივანიშვილს?!

ვინ მოგცათ უფლება, ქვეყანა ჭკუაზე დაარიგოთო? — დაჟინებით კითხულობს "აქუს" ქირქილის ფონზე იგივე სანიკიძე და არც კი წითლდება. რაია, ბიჭო, შენ კი გვარიგებ ჭკუაზე დღეგამოშვებით და რა, ივანიშვილს არ აქვს უფლება? ჯერ ერთი, მე ასეთი მორიდებული ბიძინა ივანიშვილი არასდროს მინახავს და მეორეც — ტარანი ხომ თვლით არი? გამოდით, აბა, ხომ ხართ მაგარი ბიჭები, გამოდით და მაჩვენეთ რამე თქვენი აშენებული, ან ერთი ხე დარგული, ან ერთი ადამიანი გადარჩენილი. ვერ მაჩვენებთ, არ აგიშენებიათ და ამიტომ, არ დაგირგავთ და ამიტომ, არავინ გადაგირჩენიათ და ამიტომ... დიახ, ამიტომ, ამიტომ და ამიტომ! ტელევიზორში ყბედობის მეტი არაფერი გაგიკეთებიათ, თითი თითზე არ დაგიკარებიათ, პარლამენტში კი გეძინათ!

დაუშვა თუ არა ბიძინა ივანიშვილმა შეცდომები? რასაკვირველია, დაუშვა და მის პირველ შეცდომად ვთვლი **გიორგი მარგველაშვილს**. დღემდე საზოგადოებამ ზუსტად არ იცის, როგორ და რა ვითარებაში მოხდა ამ ადამიანის გაპრეზიდენტება, როგორ მოხდა შეთავაზება, ვისი იდეა იყო და რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელეს. სხვათა შორის, როგორც გია ხუხაშვილმა მითხრა, თავიდან მარგველაშვილი წინააღმდეგი იყო, მაგრამ ერთ კვირაში დაითანხმეს. სხვა ინფორმაციით, ეს იყო ამერიკის საელჩოს შეთავაზება. ყოველ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი დიდ იმედებს ამყარებდა — ალბათ, გახსოვთ, ერთხელ ისიც კი თქვა, თუ მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს, საქართველოს დავტოვებო. ეს იმდენად ხისტი ნათქვამი იყო, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ვკითხე, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ნინო ბურჯანაძე გაიმარჯვებდა, ის პოლიტიკიდან წავიდოდა? ბატონმა ბიძინამ მაშინ ასეთი განმარტება გააკეთა — არ არის პრობლემა, ხელისუფლება სხვა პრეზიდენტთანაც ითანამშრომლებს, მაგრამ მე პირადად ჩავთვლი, რომ ნდობის რესურსი ამოვწურე და წავალო. ასეა თუ ისე, ივანიშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ მარგველაშვილი გაპრეზიდენტებულიყო, მაგრამ სამაგიეროდ რა მიიღო? არნახული უმადურობა. არა, მე შორს ვარ იმ აზრისაგან და არც თვითონ ბატონი ბიძინა ისურვებდა, რომ პრეზიდენტი მისი ხელქვეითი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არსებობს ელემანტარული საკითხები, ელემანტარული ზრდილობა და ასევე ელემენტარული მორალი. ნამდვილად არ არის ნორმალური, როცა არჩევნებამდე სულ სხვანაირი ხარ და არჩევნების შემდეგ კი ქამელეონივით იცვლი ფერს. სხვათა შორის, ფერისცვალება ძალიან ბევრმა განიცადა და ამაში ივანიშვილს ვეღარ ვამტყუნებ, რადგან თხევადი მდგომარეობიდან მყარ მდგომარეობაში გადასვლა ჩვენში უკვე ტრადიციადაა ქცეული. თუ როგორ იცვლიან ფერს საქართველოში და როგორ გადადიან ჩაღვენთილი მდგომარეობიდან გაციებული პლასტელინის მდგომარეობაში, ამაზე მომდევნო წერილში მოგითხრობთ. პლასტელინი ვიქნებიო, მხოლოდ მარგველაშვილს არ უთქვამს, სხვები უფრო "უკეთეს" დაპირებებს იძლეოდნენ, მაგრამ მოგვიანებით "გადაგვაგდეს". დარწმუნებული ვარ, მავანთა პლასტელინობა საერთოდ არ მოსწონდა და არც დღეს მოსწონს ივანიშვილს, დასაწყისში ის ხშირად იბნეოდა კიდეც. როგორ გგონიათ, დღეში ასი კაცი რომ შედის მასთან კაბინეტში და ასივე ერთმანეთზე უყვება, თუ როგორი გათახსირებულები არიან დანარჩენები, არ დაიბნევი და სწორ ანალიზს გააკეთებ? ალბათ, ისიც გახსოვთ, ბიძინა ივანიშვილს უამრავი ახალი პროექტი ჰქონდა დასაწყისში, მაგრამ როგორც კი დაინახა, ყველა პროექტს წურბელებივით შეესივნენ და მხოლოდ ფულის კეთება მოინდომეს, მალევე ჩაშალა. უახლოეს ხანში ამ იდეებსა და ჩვენი საუბრის რამდენიმე დეტალზეც მოგითხრობთ.

(გაგრძელება იქნება)

„სამეზობლო“ აზროვნების დეკრიმინალიზაცია საქართველოში

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 45-ე მუხლი, რომლის თანახმად, მარიხუანის „ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება“ სამართალდარღვევას წარმოადგენდა და 500 ლარიან ჯარიმას ითვალისწინებდა, წარსულს ჩაბარდა. 30 ივლისის შემდეგ საქართველოში ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას მოხმარება ლეგალურია. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და ამ გადაწყვეტილების მოსალოდნელ შედეგებზე სასაუბროდ ფსიქორეაბილიტაციის ცენტრის ფსიქოლოგი **მარინა ჭავჭანიძეს** დავუკავშირდით.

— ქალბატონო მარინა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. თქვენი აზრით, გამოიწვევს თუ არა ეს გადაწყვეტილება მარიხუანის მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდას?

1. ვეთანხმები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებით ეს არის „სამეზობლო“ აზროვნების დეკრიმინალიზაცია საქართველოში („მეზობელი“ – ფსიქოლოგიური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს პიროვნებას, რომელსაც არ გააჩნია ცოდნა იმ საკითხზე, რომელზეც მსჯელობს, მაგრამ დარწმუნებულია თავისი აზროვნების პროდუქციის სისწორეში.).

2. მივესალმები მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციას და მოდი, გარკვევით ვთქვათ, გარკვეული რეგულაციების იძულებითი დაწესების მცდელობას ჩენი პარლამენტისთვის, რაც მნიშვნელოვანია. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მარიხუანის მოხმარება წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ ქმედებას. მარიხუანის მოხმარების აკრძალვა მისი ბრუნვის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებაა და შესაბამისად ემსახურება მომხმარებლების ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. თუმცა, სასამართლოს მოსაზრებით ინდივიდუალური მომხმარებლის როლი მარიხუანას ბრუნვის ხელშეწყობაში არის ძალიან მცირე, შესაბამისად მცირეა მოხმარების ინდივიდუალური ფაქტიდან მომდინარე საფრთხეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მარიხუანის მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის ბლანკეტურად დაწესება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის დაცვის არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მოთხოვნებს.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მარიხუანას მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესება კონსტიტუციის შესაბამისია იმ შემთხვევებში, როდესაც მოხმარების კონკრეტული ფაქტი ქმნის საფრთხეებს მესამე პირებისთვის. მაგალითისთვის, სასამართლომ მარიხუანის მოხმარებისთვის პასუხისმგებლობის დაწესება გამართლებულად მიიჩნია მაშინ, როდესაც აღნიშნულ ქმედებას ადგილი აქვს სასწავლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ზოგიერთი სახის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე, მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, არასრულწლოვანთა თანდასწრებით და ა.შ.

3. არ ვეთანხმები მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციასთან მიმართებაში აწეულ აჟიოტაჟს და მგონია, რომ ეს ხმაური მხოლოდ და მხოლოდ სარეკლამო მიზნებს ემსახურება და ვიღაცისთვის, სავარაუდოდ, ძალიან მომგებიანი გახდება უახლოეს მომავალში.

და ყველაზე ცუდი რაც ამ ფაქტით მივიღეთ, ესაა საქართველოს პარლამენტის მიერ ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებელთა საჭიროებების, მათი დახმარების, მკურნალობისა და მათ ოჯახებზე ზრუნვის სრული უგულებელყოფაა კიდევ რამდენიმე წლით.

მე ყოველთვის მქონდა იმედი, რომ მიუხედავად იმისა, რა ხდება ჩვენს სახელმწიფოში, ჩვენი კონსტიტუცია მაინც ისახავს მიზნად ჰუმანიზმის იდეების დამკვიდრებას ქვეყანაში. ფორმალურად, სიტყვიერად მაინც. ასე, რომ რამდენიც არ უნდა იყვიროთ – არ გვჭირდება საკონსტიტუციო სასამართლო ან არ გვჭირდება ასეთი „სასტავით“ – მაინც არსებობს წესები, რომელსაც ვერავინ გაექცევა – ჩვენ ადამიანზე უნდა ვიზრუნოთ და არა ბიზნესინტერესებზე, ინვესტორებზე თუ „მეზობლების“ ჩამოყალიბებულ კონცეფციებზე.

2004 წლიდან მოყოლებული, მგონი ისეთი არჩევნები არ ჩატარებულა საქართველოში, სადაც ნარკოტიკულ მომხმარებელთა თემა არ ყოფილიყო გაჟღერებული და წამოწეული მომხმარებელთა და მათი ოჯახების ხმების მოზიდვისათვის – მწარე რეალობაა! ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, რომ აქტიურ მომხმარებლებს წამალსაც სთავაზობდნენ ხოლმე საარჩევნო ხმების სანაცვლოდ.

2006 წლიდან თითქმის ყველა პარლამენტმა იწვალა და იმსჯელა ნარკოპოლიტიკის შესახებ- საკმაოდ მდარე შედეგი თ.

ნარკოტიკების მოხმარების „ლიბერალიზაციის“ ყველა მცდელობა ვერ აღუდგა წინ ნარკომაფიის ინტერესებს – ნარკოტიკების მოხმარება იზრდება – თან, როგორც ვამჩნევთ, ძირითადად ნაირ-ნაირი დასახელებითა და წარმოშობის ნარკოტიკებით. ვერცერთმა პარლამენტმა ვერ გაბედა დეკრიმინალიზაციის ჩატარება ყველა ნარკოტიკის მიმართ. ან უცოდინრობის ან სიხარბის გამო.

— თქვენ ფიქრობთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნარკომაფიას დაარტყამს?

— დიახ! ტყუილად არავინ მითხრას, რომ ნარკომაფია არ გვყავს – აბა საბაჟოზე როგორ გადმოდის ნარკოტიკი, ან როგორ ნაწილდება ის სხვადასხვა პატარ-პატარა გამსაღებლებთან, თუ კარგად ორგანიზებული არაა! და რასაკვირველია, „ბასიანში“ შესვლისას, ამ ორგანიზატორებს არ ეძებდნენ სამართალდამცავები.

არალეგალური ბიზნესისთვის დამახასიათებელია მკაცრი იერარქიული ორგანიზაცია ბევრი განშტოებით და მთავრობაში „კრიშით“.

და რას უზამს ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია ამ ორგანიზატორებს? – პირველ რიგში შეამცირებს მათ შემოსავლებს.

— და რა მოხდება, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება სახელმწიფომ არეგულიროს?!

— ამ შემოსავლების ნაწილი მივა სახელმწიფოსთან და თუ ამ შემოსავლებს არ დახარჯავს იგივე ნარკომომხმარებლების ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციაზე ან მათი ოჯახების დახმარებაზე – შესაძლებელია, რაიმე „პრემია-დანამატების“ და ხელფასების მომატების წყარო გახდეს „ერთგული ჩინოვნიკებისათვის“

ყველა ნარკოტიკის დეკრიმინალიზაცია, ვთქვათ ისე, როგორც ეს ქვეყნის მომავალზე ზრუნვის გამო ჩაატარეს პორტუგალიაში, რეალურად სამოქმედო გეგმის არსებობას, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, საგანმანათლებლო მუშაობას – და, შესაბამისად, დანახარჯებს მოითხოვს – რაც არ ემეტებათ ჩვენს პარლამენტარებსა და ჩინოვნიკებს და რაშიც ენთუზიაზმით ეხმარებიან უცოდინარი „ყველაფრისმცოდნე მეზობლების“ დიდი კოჰორტა. (არავინ გაიგოს ისე, რომ პარლამენტარების უმრავლესობა ამ „მეზობლებზე“ უკეთ ერკვევა ნარკოპოლიტიკის პრობლემებში).

ნარკოტიკების მოხმარება რომ კარგი იყოს, თქვენ ვერ დამასწრებდით!

მაგრამ ნარკოტიკის მოხმარებისთვის ციხეში ადამიანის გამწესება – სრული მარაზმია. გამოსწორდება, თუ ფსიქოანალიზის კურსს გაატარებენ სიღრმისეული პრობლემების დასაძლევად?!

დიაბეტით დაავადებულს რომ ვამწესებდეთ ტორტის ჭამისთვის ციხეში, ლოგიკას მაინც დავინახავდი ამ ქმედებაში. მით უფრო, რომ დიაბეტით დაავადებულთა ავადმყოფობის დინამიკა ძალიან ჰგავს ნარკომომხმარებელთა დაავადების დინამიკას (ეს მე არ მითქვამს და ვისაც ღვარძლიანი „მეზობლური“ აზრი გაუჩნდება, თვითონ მოგუგლოს, მოძებნოს და მერე შემეკამათოს.

ან ვაღიარებთ რომ დამოკიდებული ადამიანი ავადაა და დახმარება სჭირდება, ან ყველა მაიმუნი-ვირიშვილი გვგონია, როგორც ბატონ დ.ნარმანიას ხის მჭრელების წინააღმდეგ გამოლაშქრებული არასამთავრობოები!

— ახლა რატომ მარტო მარიხუანა და სხვა ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია – არა?

— 1. იმიტომ რომ დეკრიმინალიზაცია ნიშნავს ბევრ სხვა ოპერაციის ჩატარებას, როგორც საზოგადოების დასაცავად, ასევე დაავადებულთათვის – ეს კი დანახარჯებს და საქმის ცოდნას გულისხმობს ქვეყნის ერთგული პროფესიაონალებისგან (განა არ გვყავს, მაგრამ არ ვენდობით – რა ვიცით, ხმას ვის მისცემენ!)

2. მარიხუანას მოხმარებელებს გამონაკლისის გარდა არაფერი დახმარება არ სჭირდებათ, თუ რაიმე ფსიქიკური სიმპტომები გაჩნდამაგას ფსიქიატრებიც მოუვლიან!

3. გავრცელებული „მეზობლური“ აზრით მარიხუანა უვნებელია – მერე, რა თუ დროთა განმავლობაში მცირე ჭკუასუსტობის დინამიკას შევამჩნევთ – ეს შეიძლება ჰაერის დაბინძურებითაც იყოს გამოწვეული.

4. და ევროკავშირს ვაჩვენებთ რომ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისკენ მივდივართ და უახლოვეს 4–5 წელიწადში არარაფერი არ მოგვთხოვონ.

5. სამაგიეროდ შემოვიტანთ რეგულაციებს და ნარკოტურისტებს აქ მივიღებთ, რომლებსაც ასე მონდომებით ებრძვის ჰოლანდია! (ესეც ბიზნესკონკურენციაში ვაჯობებთ)

მაპატიეთ, და ჩვენი პარლამენტარები „პლანში ჩარჩენილი“ მოზარდებივით იქცევიან – კმაყოფილები და გახარებულები (აქ კიდევ ერთი კომპონენტი აკლია, მაგრამ აქ არ ვიტყვი) თავისი მიღწევებით.

რატომ!? – იმიტომ, რომ ყველაზე ძლიერი, საზიზღარი, აღმაშფორებელი, ანტსოციალური და ანტისახელმწიფოებრივი დამოკიდებულება სჭირთ – ძალაუფლებისკენ ლტოლვა, ზოგჯერ სიხარბითურთ.

ესეც ობსესიურ კომპულსიებს მიეკუთვნება და არა ნაკლებ სახიფათოა ჰეროინზე! არა ნაკლებ აშტერებს, ვიდრე ჰალუცინოჰენი სოკოები და არა ნაკლებ ძნელი მოსაშორებელია ვიდრე კოკაინი! და არა ნაკლებ სასკივდილოა ქვეყნისთვის!

საუბედუროდ, ქვეყნის მართვაშიც ძირითადად ეგ „სასტავი“ მიდის – მძიმე ბავშობისგან დაჩაგრული, ამბიციური, „ყველაფრისმცოდნე მეზობელი“.

ნუ აირჩევთ ნაცნობებსა და მეზობლებს პარლამენტში!

ნელი თორდია
571 35 36 88

ჰაერის ძეგლი ლევან ვასაძისთვის

ვახტანგ ხარჩილავა:

საქართველო დიდი ხანია უსმენს ლევან ვასაძეს, უსმენს და გული იმედით ევსება, რომ ეს კაცი ლაპარაკიდან სულ მალე საქმეზე გადავა და მის ბედკრულ სამშობლოს უშველის, მაგრამ ამაოა ჩვენი მოლოდინი — ვასაძე ისევ ლაპარაკობს და ლაპარაკობს, ლაპარაკობს და ლაპარაკობს, ლაპარაკიდან კი საქმეზე გადასვლას ჯერჯერობით არ ჩქარობს.

ლაპარაკი საქმის ნაცვლად — ასეც შეიძლება დავარქვათ ვასაძის მიერ მოღვაწეობისთვის არჩეულ სტილს.

არა, სულ კი არ ლაპარაკობს, ხანდახანს თავის ლექსებსაც გვი-

კითხავს ხოლმე, გვიკითხავს არტისტულად, ლამაზად, კარგად დაყენებული ხმით.

მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით, ლექსები საკმაოდ მდარე და დაბალი ხარისხისაა, სამაგიეროდ, პატრიოტულ-ჰეროიკული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, აი, ისეთით, ურაპატრიოტიზმს რომ ვეძახით და იმ შეზარხოშებულ ქართველებს რომ მოსწონთ ძალიან, სუფრა ბრძოლის ველად რომ ეჩვენებათ და ყანწი ხმლად.

მოკლედ, როგორც პოეტი, დიდი ნიჭით ვერ გამოირჩევა ბატონი ლევანი, სამაგიეროდ, ლაპარაკშია ნიჭიერი და ისიც ლაპარაკობს და ლაპარაკობს, თან ისეთ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან თემებზე და ისეთი დამაჯერებელი და საქმიანი ტონით, ხალხში პერიოდულად ხმა ვრცელდება, ლევან ვასაძე პოლიტიკაში მოდისო.

ვასაძის ლაპარაკი იძლევა ამ ხმების გავრცელების საბაბს, ამ ლაპარაკის გამოა, ხან რომელიმე სამინისტროს ხელმძღვანელის პოსტს რომ „აბარებენ“, ხან პრემიერ-მინისტრად „ნიშნავენ“, ამ ბოლო დროს კი ისიც ითქვა, ლევან ვასაძე, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, პრეზიდენტობაზე იყრის კენჭსო, თუმცა ყველა ასეთ ჭორს ვასაძის კატეგორიული განცხადება მოსდევს ხოლმე — პოლიტიკაში არ ვერევი, პოლიტიკური ამბიციები არც არასდროს გამაჩნდა და არც ახლა გამაჩნიაო.

ასე ბრძანა ახლაც, გრიგოლიას „რეაქციაში“ — მე პოლიტიკაში არ ვერევიო, თუმცა განცხადება, რომელიც მან ამ გადაცემაში გააკეთა, წმინდა წყლის პოლიტიკური განცხადებაა.

ვერ გეტყვით, რას ეძახის ლევან ვასაძე პოლიტიკას, მაგრამ ის, რასაც ბატონი ლევანი ლექსად თუ პროზად ამბობს, თავიდან ბოლომდე პოლიტიკაა.

საერთოდ, რაც კი ამ ქვეყანაზე კეთდება, პირდაპირ თუ ირიბად, ყველაფერი პოლიტიკისკენ მიდის, ყველაფერი პოლიტიკაში იყრის თავს.

თქვენ წარმოიდგინეთ, როცა ამბობ, პოლიტიკაში არ ვერევიო, ესეც პოლიტიკაა.

ლევან ვასაძე პოლიტიკოსია, ოღონდ პოლიტიკოსის ოფიციალური სტატუსის გარეშე, რაც ხშირად უფრო მომგებიანია, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრობა და პარტიული ტრიბუნიდან ლაპარაკი.

„მე მიმაჩნია, რომ რაც მალე ჩამოშორდება ბიძინა ივანიშვილს ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობა, რაც მალე ჩამოშორდება „ქართულ ოცნებას“, მით უკეთესი იქნება პირადად ბიძინა ივანიშვილისთვისაც, „ქართული ოცნებისთვისაც“ და ჩვენი ქვეყნისთვისაც“, — ბრძანებს პატივცემული ლევანი და იქვე აყოლებს: ეს არ არის პოლიტიკური განცხადებაო.

ეს თუ პოლიტიკური განცხადება არ არის, აბა სხვა რა არის?

რა არის და ჩვენი ქვეყნის რიგითი მოქალაქის განცხადებაა, რომელსაც ისევე უყვარს თავისი სამშობლო, როგორც ბევრ ჩვენგანსო.

ხედავთ, თურმე რა ყოფილა? — რიგითი მოქალაქის განცხადება ყოფილა!

რიგითო მოქალაქევ, ბატონო ლევან, როცა ასეთ „რევოლუციურ“ მოწოდებას აჭლერებთ და ბიძინა ივანიშვილს მოუწოდებთ, ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობის ტვირთი ჩამოიხსნას მხრებიდან, იქვე ისიც არ უნდა დაამატოთ, ვინ უნდა აიკიდოს ეს ტვირთი?

თქვენ ხომ, როგორც თავად ბრძანებთ, თქვენი სამშობლო ძალიან გიყვართ. ჰოდა, იმაზე ფიქრით და იმის ანალიზით არ უნდა შეიწუხოთ თავი, რა შეიძლება თქვენს საყვარელ სამშობლოში მოხდეს, ივანიშვილმა თქვენს რჩევას რომ დაუჯეროს, უცებ გადგეს განზე და ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობაზე საერთოდ უარი თქვას?

პატრიოტობის ან ანალიტიკური აზროვნების ხარისხით მე თქვენთან, აბა, რას მოვალ, მაგრამ ჩემს მოკრძალებულ ვარაუდს მაინც გაგიმხელთ: **დღესვე, დაუყოვნებლივ, მოუმზადებლად, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ბიძინა ივანიშვილის მიერ თქვენგან შემოთავაზებული ნაბიჯის გადადგმამ, შეიძლება ქვეყანაში უმართავი პროცესები გამოიწვიოს და დესტაბილიზაციის რეალური საფრთხე შექმნას.**

გიფიქრიათ თქვენ ამაზე, პატივცემულო ლევან?

ალბათ, არ გიფიქრიათ და თუ არ გიფიქრიათ, მაშინ თქვენი დიდი პატრიოტობა და ქვეყნის გულწრფელი გულშემატკივრობა როგორ უნდა ვირწმუნოთ?

სიმართლე გითხრათ, არ მჯერა იმ ადამიანების პატრიოტობისა, თავიანთ ლოკალურ ბედნიერებაში, თავიანთ მიკროდიდებაში, თავიანთ ნარცისულ წარმოსახვებში შეყუჟულნი რაღაცნაირი ხაზგასმული თავმოწონებით რომ გეტყვიან, მე პოლიტიკაში არ ვერევიო.

თუ ქვეყანა თავზე გენგრევა, თუ ქვეყანა იქცევა, რას ჰქვია პოლიტიკაში არ ერევი და არაფერს არ აკეთებ იმისთვის, რომ ქვეყანას, რითაც შეგიძლია და როგორც შეგიძლია, კატასტროფა აცილო თავიდან.

მარტო ბატონ ლევანს არ ვგულისხმობ, სხვაც ბევრი მინახავს ამ მუდმივი წეწვა-გლეჯვის რეჟიმში მყოფ ქვეყანაში, ვითომ დიდი რეჟისორია, დიდი პოეტია, დიდი მეცნიერია და გამომდინარე ამ თავისი „სიდიდიდან“ თუ „სიდიადიდან“, ქვეყნის ყოველდღიურ პრობლემებზე, მით უმეტეს, პოლიტიკაზე ფიქრით თავის შეწუხება და თავისი პოზიციის დაფიქსირება თავის დაკნინებად და დამცირებად მიაჩნია — ზის თავის ოლიმპოზე და იქიდან მშვიდად ადევნებს თვალს საბედისწერო მოვლენებს.

სინამდვილეში, დეზერტირობაა ეს, კომფორმიზმი და ეგოიზმია, რომელსაც ხშირად პატრიოტიზმის ნიღბით ნიღბავენ მავანნი და მავანნი.

სპეკულაცია პატრიოტიზმით, „მარიაჟობა“ პატრიოტიზმით, კეკლუცობა და თავის მოწონება პატრიოტული თემებით ჩვენს საზოგადოებაში კარგად ფესვგადგმული ტენდენციაა, რომელიც სათავეს არცთუ ისე შორეული კომუნისტური ეპოქიდან იღებს და დამოუკიდებელ საქართველოშიც ისე გადმოგვყვა, როგორც სახადი.

ბიძინა ივანიშვილიც ისე რომ მოქცეულიყო, როგორც ლევან ვასაძე იქცევა და არ ვერევი მე პოლიტიკაშიო, რომ ეთქვა, „ნაცმოძრაობა“ და მისი ბელადი ახლაც თავზე გვეყოლებოდნენ წამოსკუპებული.

ის, რაც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა, სწორედ ეგ არის ნამდვილი პატრიოტიზმი, ნამდვილი გმირობა, რისთვისაც, ვასაძის აზრით, ბატონ ბიძინას ორი ძეგლი ეკუთვნის — ერთი სააკაშვილის მოშორებისთვის, მეორე — ქვეყნის წინაშე გაწეული უამრავი ქველმოქმედებისთვის.

კი, მაგრამ ამ ორი ძერგლის ღირს ბიძინა ივანიშვილს რომ ურჩევთ წასვლას, რატომ იგივე არა ურჩიეთ საძეგლოდ საერთოდ უვარგის მარგველაშვილსაც, რომელმაც თავისი პრეზიდენტობის განმავლობაში უამრავი შეცდომა დაუშვა?

ხშირად ვაკრიტიკებდი მარგველაშვილსო, კი ამბობთ, მაგრამ კრიტიკა და საყვედური სხვაა — არაა შენი საქმე პრეზიდენტობა, ჩემო გიორგი და წადი სახლშიო, რატომ არ უთხარით?

თქვენი შვილის ნათლია და ბავშვობის მეგობარი რომ არის, იმიტომ ვერ გაიმეტეთ „ჩამოსალაბრონატებლად“? აკი, სამშობლოს გამო არავის და არაფერს დავერიდებიო?

ბატონ ლევანს აქვს თავისი ოლიმპო — კიკეთი.

აი, იქიდან გვმოძღვრავს, იქიდან გვიკითხავს განმანათლებლური და დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ლექციებს.

ბატონი ლევანის საუბრებს რომ ვუსმენ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ ადამიანმა ერის უგვირგვინო მეფის, ერის აღმზრდელის და პირუთვნელი მედიატორის ამპლუა აირჩია თავისი მისიის აღსასრულებლად.

ვასაძე ისე გველაპარაკება, თითქოს ილია ჭავჭავაძე ან მაჰათმა განდი იყოს.

კარგია ეს, მაგრამ როცა ილია ჭავჭავაძეობა ან მაჰათმა განდობა გინდა, იმისთვისაც მზად უნდა იყო, რომ შეიძლება შუბლში ტყვია გკრან.

აი, ეს ვარიანტი კი ბატონ ლევანს ხელს არ აძლევს და ალბათ ამიტომაც აუჩემებია, პოლიტიკაში არ ვერევიო.

კიკეთშივე არსებობს ვასაძის მიერ დაფუძნებული სკოლაც, სადაც ერთი ბავშვის აღზრდა-განათლება წელიწადში, რამდენადაც ვიცი, 10 000 ლარამდე ღირს, ანუ ეს არის სკოლა ძალიან მდიდარი ოჯახების შვილებისთვის.

ეს სკოლა სულაც რომ არ არსებობდეს, მდიდარი ოჯახები მაინც მისცემენ თავიანთ შვილებს სათანადო განათლებას.

არ სჯობდა, ეს სკოლა ღარიბი ოჯახების ნიჭიერი ბავშვებისთვის რომ დაგეარსებინათ, ბატონო ლევან?

ბიძინა ივანიშვილს თუ ორი ძეგლი უნდა დავუდგათ, თქვენ ერთს მაინც დაგიდგამდით, ეს სამადლო და მამულიშვილური საქმე რომ გაგეკეთებინათ,

აბა, მხოლოდ ლაპარაკში ჰაერის ძეგლს რომ არ დაგიდგამთ, ბატონო ლევან?!

„ნაციონალის“ ან ყოფილი „ნაციონალის“ გაპრეზიდენტება კი არა მათი გვარსახელის ბიულეტენში შეტანაც კი ქართველი ხალხის უდიდესი შეურაცხყოფაა

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ. პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, „ქართულ ოცნებას“ საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატი არ ჰყავს. რით ახსნით ამას?

— დიახ, „ქართული ოცნება“ ღიად აცხადებს: ჩვენ, საპრეზიდენტო კანდიდატი არ გვყავსო, რაც დიდ ეჭვს იწვევს. პოლიტიკური ძალა ასეთ ნაბიჯს იმ შემთხვევაში დგამს, როცა გამარჯვების იმედი არ აქვს. მაშინაც კი, როდესაც გამარჯვების ნაკლები იმედი არსებობს, პოლიტიკა მოითხოვს, ყოველ არჩევნებზე მიიღო მონაწილეობა, ამით გამოცდილებაც გემატება და მეორეც, საზოგადოებას თანდათან თავს აჩვევ. ეს პოლიტიკის ანბანია. ამიტომ, „ქართული ოცნების“ განაცხადი ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. „ქართული ოცნებისადმი“ ივანიშვილის დამოკიდებულებას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2020 წლისთვის ეს პარტია სხვა პოლიტიკური ძალით ჩანაცვლდება. თუმცა, მმართველობა, ალბათ, არ შეიცვლება, უბრალოდ, პოლიტიკური დასახელების პარტიები შეიცვლებიან. ის, რომ „ქართულ ოცნებას“ კანდიდატი არ ჰყავს, ამას შეიძლება ასეთი ახსნაც მოეძებნოს: ჩაფიქრებულია „ნაცმოძრაობის“ ამ ნამსხვრევებმა გარკვეული პროცენტი აიღონ, რაც მათ საშუალებას მისცემს ილაპარაკონ: ხომ ხედავთ, რამდენი პროცენტი ავიღეთო. ამომრჩევლის 30%-ზე მეტი პოლიტიკურად აქტიურია, რომელთაც არჩევანის საშუალებას ართმევენ. ეს ადამიანები არჩევნებზე რომ მივლენ, მექანიკურად შემოხაზავენ არასასურველ კანდიდატს. ანუ, ეს პირდაპირ იმის დემონსტრირებაა, რომ „ნაცმოძრაობას“ — პოლიტიკურ ძალას, რომელიც სულ მცირე ციხეში უნდა იხდიდეს სასჯელს, პოლიტიკური პასუხისმგებლობა გააჩნდეს იმისთვის, რაც ჩაიდინა და პოლიტიკას საერთოდ, ჩამოშორებული იყოს, დღეს, სასათბურე პირობებს უქმნიან იმისათვის, რომ საზოგადოებისგან გარკვეული პროცენტები დაიწეროს. ამით ხალხს აჩვევენ, რომ ამ პოლიტიკურ ძალას მხარდაჭერა აქვს და სამომავლოდაც 2020 წელს, როდესაც, ალბათ, „ქართულ ოცნებას“ სხვა პოლიტიკური ძალით ჩაანაცვლებენ, ეს ურჩხული — „ნაცმოძრაობა“, თავისი დანაყოფებით, კიდევ იყოს პოლიტიკურ არენაზე, რაც ძალიან ცუდია.

— ივანიშვილის განცხადებას საპრეზიდენტო კანდიდატის არყოლის შესახებ საკაშვილი გამოეხმაურა და მოვლენების განვითარების სცენარიც გაგვაცნო. მათი რიტორიკა არ იცვლება. რა გველის, თუ ვაშაძე ან ბაქრაძე გაიმარჯვებს, ისევ იმ 9-წლიან რეჟიმს დავუბრუნდებით?

— რაზეც სააკაშვილი საუბრობს, ეს აბსურდია. „ნაცმოძრაობა“ კიდევ 50 წელი ვერ შეძლებს პოლიტიკაში დაბრუნებას. თუნდაც არჩევნები გააყალბონ, ვერარ დაბრუნდებიან იმიტომ, რომ ჯინი ბოთლიდან უკვე ამოშვებულია, ქართველმა ხალხმა გაითავისა ის გამარჯვება, რომელიც 2012 წელს „ნაცმოძრაობის“, უფრო სწორად, ფაშიზმის დამარცხებით დადგა. მაგრამ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ამ კრიმინალურმა ძალამ უცხო ქვეყნის ის დაკვეთები შეასრულოს, რა პოლიტიკასაც ისინი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ატარებენ. მნიშვნელობა არ აქვს რა ერქმევა მათ — „გირჩი“, „ევროპული საქართველო“, „ნაცმოძრაობა“, კომბოსტო თუ ბადრიჯანი. ფაქტია, რომ ეს ძალები სხვა ქვეყნის დავალებას ასრულებენ და ისინი საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესებზე ორიენტირებულნი არ არიან. აი, რა არის დღეს ჩვენი პრობლემა.

— საუბრობენ, რომ „ქართული ოცნება“ მხარს დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს. როგორ ფიქრობთ, მას გამარჯვების რა შანსები აქვს?

— „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკაზე ხელს საერთოდ ვერ ააღებინებენ, ეს ვერ მოხერხდება. ზაქარია ქუცნაშვილმა თქვა: როგორ შეიძლება „ქართული ოცნების“ შტაბებმა სრული დატვირთვით იმუშაონ, როცა მისი კანდიდატი საარჩევნო მარათონში ჩართული არ არისო. სწორედ ამას ემსახურება ყოველივე, რომ ტემპერატურა დაბალი იყოს და სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება „ნაცებთან“ შედარებით თვალშისაცემი არ გახდეს. მთელმა მსოფლიომ უნდა დაინახოს, რომ „ნაცებს“ მხარდაჭერა ისევ აქვთ. სწორედ ამიტომ არის სალომე ზურაბიშვილი შერჩეული და ამიტომაც არ ჰყავს „ქართულ ოცნებას“ თავის კანდიდატი, რათა შტაბებმაც დაბალი აქტივობით იმუშაონ და სალომემაც ამ კრიმინალური ძალების წარმომადგენლების ფონზე დაბალი პროცენტული მაჩვენებლით გაიმარჯვოს. მივესალმები სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებას. ნამდვილად მინდა მან გაიმარჯვოს, დარწმუნებულიც ვარ, რომ ასე იქნება. მაგრამ ვიმეორებ, დღეს, პოლიტიკის მთავარი მიზანია მსოფლიოს აჩვენოს, რომ „ნაცმოძრაობა“ არცთუ ისე შორს დგას სხვა დამოუკიდებელი და თანაც ასეთი პოლიტიკური წარსულის მქონე, ავტორიტეტული ადამიანის ფონზე, როგორიც სალომე ზურაბიშვილია. აი, ეს თამაშია.

— ქალბატონო ნანა, ახლა ხალხი არჩევანს იმის მიხედვით აკეთებს პარტია პრო-დასავლურია თუ პრო-რუსული. ვაშაძეს ძლივს წაართვეს რუსული პასპორტი, მაგრამ ახლა პრო-დასავლელად გვევლინება. რას ნიშნავს ეს?

— ეს ყველაფერი, ზოგადად, არის ნიღაბი. ეს ადამიანები ვინც პრო-დასავლელობას იჩემებენ, რა თქმა უნდა, ნიღაბს ეფარებიან. პრო-დასავლელობა ეს არის ზოგად-საკაცობრიო ღირებულებებისადმი პატივისცემა, ხომ? ვაშაძე როგორ არის პრო-დასავლელი ან „ნაცმოძრაობა“, გამაგებიოს ვინმემ. ციხეებში ადამიანების გაუპატიურება, ღირსებისშემლახველი მოპყრობა, წამება, ქონების კონფისკაცია, გაკულაკება, ბინადრობის ნებართვის ჩამორთმევა ეს პრო-დასავლელობაა? ეს, უბრალოდ, ნიღაბია. რეალურად, იცით ვინ არიან „ნაციონალები“? — ხალხი, ვინც კაცებს აუპატიურებდნენ. ეს არ არის არანაირი ღირებულება, არამედ კრიმინალია. ვიღაცას უკეთია რუსული ნიღაბი, ვიღაცას დასავლური და რეალურად ეს მხოლოდ იმისათვის კეთდება, რომ ძალაუფლება შეინარჩუნონ, ვიღაცის დაკვეთები ასრულონ, ოღონდ, ლამაზი ლოზუნგებით. მიშა რისთვის მოვიდა, რატომ იწუნებდა შევარდნაძეს, რომ ვითომ, ცოტა დემოკრატიაა და მეტი გვინდაო. მერე, რა მივიღეთ? იმავე დღეებში გამოჩნდა, რომ ეს ფარსი იყო. სააკაშვილმა ჩაიგდო თუ არა ძალაუფლება ხელში, ერთ წელიწადში 5700 პატიმრის რიცხვი 12 ათასამდე გაზარდა. მსოფლიოში პირველ ადგილზე ვიყავით პატიმართა ოდენობით და ეს არის პრო-დასავლურობა? პრო-დასავლურობას თავისი სტანდარტი აქვს, თუ რამდენი პატიმარი უნდა გყავდეს 10 ათას მოსახლეზე. კიდევ ვიმეორებ, ეს არის ამ ადამიანების მხრიდან პოლიტიკური მანიპულაციები, თაღლითობა. რეალურად, ისინი ჩვეულებრივი მოღალატეები, გამყიდველები არიან, რომლებიც თავიანთი კეთილდღეობის გამო ყველაფერს და მათ შორის, სამშობლოსაც ყიდიან. რად მინდა, ან პრო-რუსული ან პრო-დასავლური ძალები. აქ, უნდა იყოს ქართული ძალა, რომლმაც ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე იცის რა დოზით, როგორ უნდა ითანამშრომლოს ცივილიზებულ სახელმწიფოებთან. აი ასე უნდა ხდებოდეს, მაგრამ ამის საშუალებას არ გვაძლევენ.

— ხშირად მესმის: „ქართულ ოცნებას“ კანდიდატი თუ არ ეყოლება ამით არაფერი შავდება, პრეზიდენტს მაინც არაფრის უფლება არ აქვსო. რა ბერკეტები აქვს დღეს, რეალურად, პრეზიდენტს და რამდენად უსაფრთხოა ეს პოსტი ქვეყნის მტერის ხელში ჩასაგდებად?

— უპირველეს ყოვლისა, ეს ღირსების საკითხია. „ნაცმოძრაობას“ ფაშისტებსაც ვერ დავარქმევ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს გერმანელი ერი მაინც უყვარდა. ისინი ისეთივე სისასტიკეებს სჩადიოდნენ როგორსაც „ნაცმოძრაობა“, მაგრამ თავისი ერი უყვარდათ და ამბობდნენ: ამ ბოროტებებს გერმანელი ერის საკეთილდღეოდ ვაკეთებთო. „ნაცებს“ ქართველი ერი არ უყვარდათ, ეს ქართულ პოლიტიკაში ფაშისტებზე უარესი მოვლენაა. ღირსების საკითხია, რომ ასეთი ბინძური ძალის წარმომადგენელი პრეზიდენტი კი არა, პოლიტიკაშიც არ შეიძლება იყოს. პრეზიდენტს სულ რომ არაფერი უფლებები არ ჰქონდეს, იგი ხომ ქვეყნის სახეა. როგორ შეიძლება ქვეყნის სახე კაცების გამაუპატიურებელი იყოს. „ნაცები“ დუბინკებით და რით აღარ აუპატიურებდნენ ადამიანებს. „ნაცების“ წარმომადგენელი თუ პრეზიდენტი გახდა ეს იქნება ჩვენი დამცრობა, ფეხქვეშ გათელვა. მეორეც, თქვენ იცით, რომ „ნაცმოძრაობის“ ორისამი წარმომადგენელი ისევ ციხეშია. მარგველაშვილი მათ შეწყალებას ვერ ბედავს, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელი პრეზიდენტი ამასაც გააკეთებს. როგორ შეიძლება, დღეს, თუნდაც საპრეზიდენტო ბიულეტენში „ნაციონალური მოძრაობის“ თუ სახელგადარქმეული „ნაცების“ წარმომადგენლები იყვნენ ჩაწერილნი. ამის დაშვება როგორ შეიძლებოდა? სად აქვს ამ ერს ან ღირსება, ან თავმოყვარეობა. ცოცხალია დღეს საქართველო, როდესაც იმას უშვებს, რაც ქვეყანაში ხდება. პოლიტიკოსები ამ ვითარებას ასე მშვიდად როგორ უყურებენ. არ იციან ქვეყანაში რა ხდებოდა? მაშინ რატომ იდგნენ მიტინგებზე, რით იცავენ დღეს თავიანთ პოზიციას იმით, რომ „ნაციონალებთან“ ერთიანდებიან და ერთ მაგიდასთან სხედან?

— თქვენ, „ნაციონალების“ გასამართლებას ითხოვდით. საპარლამენტო არჩევნებში მათი 27% ეჭვქვეშ დააყენეთ, თუმცა, შედეგი არ დადგა...

— რა თქმა უნდა. ჩვენ რომ სწორი, კანონიერი, სამართლიანი გზით წავსულიყავით, დღეს, ქვეყანა აყვავებული, ერს კი ღირსება ექნებოდა აღდგენილი. ეს პოლიტიკა მიზანმიმართულად გატარდა, რათა ჩვენ, კიდევ უფრო მეტად ჩავეწიხლეთ და „ნაციონალების“ უკან მდგომ ძალებს ეჩვენებინათ — დიახ, ჩვენ ვართ ის ხალხი ვინც „ნაცმოძრაობა“ თავზე დაგასვით, დაგინიშნეთო. ჩვენ ამ ძალებს ვერ მოვერიეთ. ქვეყანა ვერ შედგა. მაშინაც კი როცა კომუნისტების დროს „ეროვნულ მოძრაობას“ ეგონა გავიმარჯვეთო, ეს სინამდვილეში დამარცხება იყო. ნომერ პირველი დამარცხება, ჩვენ, სწორედ საბჭოთა კავშირის დაშლის დროს ვიწვნიეთ. არაფერი არ შეცვლილა, შთაგვაგონეს ვითომ გავიმარჯვეთ, სინამდვილეში დავმარცხდით. აი რამ მოგვიყვანა დღევანდელ დღემდე. ჩვენ რომ გაგვეაზრებინა: დამარცხებულები ვართ და გამარჯვებისთვის ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ, გავიმარჯვებდით. რუსის ტანკი გავიდა და გადავირიეთ გავიმარჯვეთო. ამას რა მნიშვნელობა აქვს, გავიდა რუსის ტანკი, შემოვიდა ამერიკის. აქეთ რუსის ტანკი დგას, იქით ამერიკის, საინტერესოა, სად დგას ქართველი?! ვინმე რამეს გვეკითხება, რამეს წარმოვადგენთ, დღეს ვინმეს აინტერესებს ვის მივცემთ ხმას? დღეს ყველაფერი ისეთი ტექნოლოგიებით ხდება, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, ამ პროცესში არ ვმონაწილეობთ. ყველაფერი მართვადია.

ჩვენ დაპყრობილი, დამონებული ქვეყანა ვართ ხელში ფურცლით, რომ დამოუკიდებელნი ვართ. არ სჯობს ამ ფურცელზე რეალობა ეწეროს? დროშა და ჰიმნი რადგან გვაქვს ამიტომ ვართ დამოუკიდებელნი? საკუთარ ქვეყანაში კანონის მიღებას ვერ ვწყვეტთ. პრემიერს ვერ დავნიშნავთ, საელჩო თანხმობას თუ არ გვეტყვის. ის კი არა, მათი თანხმობის გარეშე, პრემიერს დამლაგებელს ვერ დაუნიშნავ. ივანიშვილი არაფორმალური მმართველიაო რომ იძახიან, მართლა ის მართავს ქვეყანას? თქვენ, როგორ ფიქრობთ ჩუგოშვილი ივანიშვილმა მიიყვანა ხელისუფლებაში, ან ლომჯარია ბატონი ბიძინას არჩევანია? რეალური, ჩრდილოვანი მმართველობა მოვიძიოთ, იმას შევებრძოლოთ და დავუპირისპირდეთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„ქართული ოცნების“ ნარეკლიანი გზა

როცა ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამბობს, ჩემმა გუნდმა ვერ დამიცვაო, ხომ უნდა ვიკითხოთ, რა გუნდია ეს და რატომ ვერ მოახერხა მან თავისი ლიდერის დაცვა?

საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცებმა ჩათვალეს, რომ მან საერთოდ დაკარგა ყოველგვარი ინტერესი „ქართული ოცნებისადმი“ და მისგან დანატოვარი პოლიტიკური მემკვიდრეობის მითვისება-გადანაწილება დაიწყეს.

ყველას კარგად გვახსოვს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა „ძველი გვარდიის“ აშკარა უკმაყოფილება და პროტესტი, რომ მათ „ქართულ ოცნებაში“, ფაქტობრივად, დევნიან და ავიწროებენ, რის გამოც ისინი იძულებულნი არიან, დატოვონ „ქართული ოცნების“ რიგები.

სხვა მრავალ სუბიექტურ მიზეზთა შორის მთავარი მიზეზი „ქართული ოცნების“, როგორც

პარტიული სტრუქტურის დასუსტებისა, ჩემი აზრით, მაინც ის იყო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა სხვა პარტიებთან ერთად კოალიციური გაერთიანება შეექმნა და ასე შესულიყო პარლამენტში.

შეიძლება ეს გადაწყვეტილება მაშინ არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, სწორი და ეფექტური იყო, თუმცა მოგვიანებით ეს გადაწყვეტილება ბუმერანგივით უკან შემოუბრუნდა „ქართულ ოცნებას“ და მისი დასუსტების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა.

როცა ერთ საერთო საბანს ყველა თავისკენ ექაჩება, იქ, ცხადია, შიდა დაპირისპირება გარდაუვალია.

ასე მოხდა ეს კოალიცია „ქართულ ოცნებაშიც“, სადაც იდეოლოგიურად, მენტალურად ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულმა რამდენიმე პარტიამ მოიყარა თავი, რომელთა ბაზაზეც შეუძლებელი იყო საერთო პოლიტიკური მიზნით შეკრული ერთიანი გუნდის ჩამოყალიბება.

ბევრი უარყოფითი თვისების მატარებელ ადამიანზე იტყვიან ხოლმე: ამ კაცის სახლში შემოშვება არ შეიძლებაო.

კოალიციის წევრთა შორის იყო ერთი პარტია, რომლის შემოშვება ამ კოალიციურ სახლში ნამდვილად არ შეიძლებოდა.

ამ პარტიის სახელია რესპუბლიკური პარტია, რომელმაც პარლამენტში შესვლიდან მალევე გამოამჟღავნა თავისი ზედმეტად ამბიციური და ამპარტავნული ბუნება და სცადა კოალიციის წევრების, მათ შორის, „ქართული ოცნების“ შევიწროების ხარჯზე ხელში ჩაეგდო ყველა მნიშვნელოვანი ბერკეტი, მკვეთრად გაეფართოებინა გავლენის სფეროები ყველა მიმართულებით, საკვანძო პოსტებზე, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაენიშნა მხოლოდ თავისი წარმომადგენლები.

პარტია, რომლის რეიტინგიც მისი არსებობის მანძილზე არასოდეს არ ასცილებია 3%-ს, პარტია, რომელიც დამოუკიდებლად საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავდა, პარტია-პარაზიტი, კოალიციაში გაერთიანების წყალობით უცებ იქცა ერთ-ერთ წამყვან და ყველაზე გავლენიან პარტიად, რომელიც „რესპუბლიკელებისთვის“ დამახასიათებელი უტიფრობით და ურცხვობით მიზანმიმართულად ავიწროებდა კოალიციის სხვა წევრებს და, მათ შორის, „ქართულ ოცნებასაც“.

ამ ურეიტინგო, ქართველი ხალხისთვის იდეოლოგიურად აბსოლუტურად მიუღებელი პარტიის ამგვარი გალაღება და გაპარპაშება სამართლიან პროტესტს და აღშფოთებას იწვევდა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებში, რომლებიც თვლიდნენ, რომ მათი თავდადებული ბრძოლა „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ სათანადოდ არ დაფასდა, უფრო მეტიც, ამ ბრძოლის შედეგებით იმ ძალამ იხეირა, რომელსაც ის არანაირად არ იმსახურებდა.

რესპუბლიკელებს არც „თავისუფალი დემოკრატები“ ჩამორჩებოდნენ და ისინიც თავგამოდებული ცდილობდნენ იმაზე მეტი „დაეთრიათ“ ნადავლიდან“, რაც სინამდვილეში ეკუთვნოდათ.

კოალიციის რაღაც დროის განმავლობაში შენარჩუნება მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მაღალი ავტორიტეტის წყალობით

იქნა შესაძლებელი, თუმცა მოგვიანებით ის მაინც დაიშალა და „ქართული ოცნების“ გუშინდელი მოკავშირეები და თანამებრძოლები მომენტალურად მის რადიკალურ ოპონენტებად იქცნენ.

კოალიციურ რეჟიმში ოთხწლიანი იძულებითი თანაცხოვრების შედეგად, ცხადია, ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ დაზარალდა და დაზიანდა – მან დაკარგა ელექტორატის გარკვეული ნაწილი, დასუსტდა სტრუქტურულად, მოხდა პარტიული კადრების გადინება და ა. შ.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ განახლებული შემადგენლობით წარსდგა ამომრჩევლის წინაშე, თუმცა გაურკვეველი დარჩა კითხვა, საიდან და როგორ აღმოჩნდნენ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაში ადამიანები, რომლებსაც მანამდე, ფაქტობრივად, არაფერი აკავშირებდათ ამ ორგანიზაციათან?

„ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის თვალიერებისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ სიას ერთი კი არა რამდენიმე ადამიანი ადგენდა და ყველას თავისი ხალხი შეჰყავდა სიაში – ზოგს ხუთი,. ზოგს შვიდი, ზოგს – ათი.

მერე ეს ჯგუფები ერთად დაჯამდა და ასე მივიღეთ პოლიტიკური ლეგიონერებით დაკომპლექტებული „ქართული ოცნების“ საპარლამენტო გუნდი.

ფაქტობრივად, ესეც რაღაც კოალიციის მაგვარი გაერთიანებაა, ოღონდ ერთი და იგივე სახელწოდების სხვადასხვა „სასტავებით“.

ყოველივე ამის შემდეგ სულაც არ არის გასაკვირი, თუ რამ გამოიწვია ის მძაფრი შიდა დაპირისპირება, რაც „ქართული ოცნების“ შიგნით არსებობდა თურმე და რამაც გადააწყვეტინა ბატონ ბიძინას დაბრუნებულიყო პოლიტიკაში და „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის პოსტი დაეკავებინა, მაგრამ არის კი ეს ის გამოსავალი, რაც ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს და „ქართულ ოცნებას“ ერთ მონოლითურ სხეულად შეკრავს?

რა თქმა უნდა. არის, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნების“ შიგნით დიდი საკადრო ცვლილებები განხორციელდება.

დღეის მდგომარეობით, „ქართულ ოცნებაში“ ბევრი „სეპარატისტული წარმონაქმნია“, რომლებსაც თავ-თავიანთი ლიდერები ჰყავთ, ამ ლიდერებს კი საკვანძო პოსტები უჭირავთ პარტიული სტრუქტურების უმაღლეს საფეხურებზე.

ისინი კარგა ხანია, „ქართული ოცნების“ შიგნით თავიანთ „ავტონომიებს“ ქმნიან და ყველაფერს აკეთებენ ამ „ავტონომიების“ გასაფართოებლად და გასაძლიერებლად.

ასეთი რთული და ნარეკლიანი გზით მოვიდა „ქართული ოცნება“ დღევანდელ დღემდე.

ახლა ცვლილებების და დიდი განახლების დროა.

დავით ქავთარია

ძლიერი რეგიონები

თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ქორიძემ ქ. თეთრიწყაროს დუმბაძის ქუჩაზე (ჩიხებით), დუმბაძის ქუჩის I ჩიხსა და ჯავახიშვილის ქუჩაზე (ჩიხებით) მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

● სოფელ არხოტში შეხვეტილას თემის სოფლებს შორის გაიმართა კონკურსი „სოციალური პროექტების შედგენა“. მასში მონაწილეობდა შეხვეტილას თემის ცხრა სოფელი. ჟიურიმ გამოავლინა 5 გამარჯვებული სოფელი:

1. არხოტი: „სარწყავი და სასმელი წყლის რეაბილიტაცია“ (4000 ევრო);
2. ჯვრისხევი: „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათიბელას შეძენა“ (3500 ევრო);
3. ქვემო ჭინჭრიანი: „ხის მასალის შეძენა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად“ (3400 ევრო);
4. დიდი ნამტვრიანი: „ხის მასალის შეძენა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად“ (2100 ევრო);
5. კოდისწყარო: „სატვირთო მანქანისთვის ნაწილების შეძენა“ (2000 ევრო).

კონკურსი გაიმართა პროგრამის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში — საქართველო“. ღონისძიების მხარდამჭერია ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაცია.

SPPA-საქართველო წარმოადგენს 5-წლიან პროგრამას (2014–2019), რომელიც დააფინანსა KFW განვითარების ბანკმა და რომლის მიზანია ოთხი დაცული ტერიტორიის — ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიშისა და ფშავ-ხევსურეთის განვითარებისა და მიმდებარე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზისუბანში, 2018 წელს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი რამდენიმე პრობლემა მოგვარდა: გაიწმინდა ცენტრალური გზის სანიაღვრე სისტემა; აღდგა ერთი ჭაბურღილი, რომლის საშუალებით წყლით ოთხი უბანი მარაგდება; გაიწმინდა სოლოლაკის უბნის გადასასვლელი ბოგირი; შინმოუსვლელთა პარკში დაირგო და საჭიროებისამებრ ირწყვება ნარგავები;

● სოფელ კარდენახში, ე.წ. ნუშების უბანში არსებულ ჭაბურღილზე, რომელზეც ამ ეტაპისთვის მხოლოდ ორი რეზერვუარია დამონტაჟებული, არასაკმარისი დებეტის გამო იქ მცხოვრებ სამი უბნის მოსახლეობას წყალი ძალიან მცირე რაოდენობით მიეწოდება. შექმნილი პრობლემის გადასაჭრელად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია ამავე ჭაბურღილზე დამატებით ორ რეზერვუარს განათავსებს. უკვე გამოცხადებულია ტენდერი, რომელიც 10 აგვისტოს დასრულდება. რეზერვუარების დამატების შემდეგ წყალმომარაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

● მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ხანდამაშვილი სოფელ კარდენახში, ე.წ. სკოლის უბნის მოსახლეობას შეხვდა. ადგილობრივებმა მერთან შეხვედრისას აღნიშნეს, რომ მათთვის ერთ-ერთ მთავარ საკითხს გზის მოწესრიგება და სანიაღვრე არხის მოწყობა წარმოადგენს. შეხვედრაზე ისაუბრეს ასევე წყალმომარაგების პრობლემებზეც. მუნიციპალიტეტის მერია შესაბამის სამსახურებთან ერთად მოსახლეობისთვის საჭირბოროტო საკითხებზე იმუშავებს და შეეცდება, უახლოეს მომავალში პრობლემები ეტაპობრივად მოაგვაროს.

● მერი არჩილ ხანდამაშვილი სოფელ ვეჯინის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე სოფლის საჭიროებებზე, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრეს. ამ დროისთვის ვეჯინში ე.წ. ჰესის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომლითაც მოსახლეობა სავარგულებს უკავშირდება. მისი რეაბილიტაცია წლების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემა იყო.

● არჩილ ხანდამაშვილი სოფელ ჩუმლაყის, ე.წ. სტადიონის უბნის მოსახლეობას, დეპუტატ გია შაოშვილთან ერთად შეხვდა და სოფლის პრობლემებს გაეცნო. ადგილობრივებს ყველაზე მეტად აწუხებდათ წყალმომარაგების საკითხი — ბოლო დროს მოსახლეობას წყალი შეფერხებით მიეწოდებოდა, რადგან საუბნო მაგისტრალი გაწმენდას საჭიროებდა. ამ დროისთვის პრობლემა უკვე მოგვარებულია.

● არჩილ ხანდამაშვილი ქალაქ გურჯაანში ბელიაშვილის ქუჩის მოსახლეობას შეხვდა. ადგილობრივები საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ითხოვენ. მუნიციპალიტეტის მერია ბელიაშვილის ქუჩის გზის მოასფალტებას გაისად გეგმავს.

● გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიამ ქალაქ გურჯაანში მდებარე დიდების მემორიალის რეაბილიტაციაზე ტენდერი გამოაცხადა. სარეაბილიტაციო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება 35 000 ლარია.

● მუნიციპალიტეტის სოფელ შაშიანში 2018 წელს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი რამდენიმე საკითხი გადაიჭრა, კერძოდ: გასუფთავდა წყლის სათავე ნაგებობა; აღდგა სასმელი წყლის 1 კმ-იანი მაგისტრალი, გვირაბიდან რკინიგზამდე, რომლითაც მთელი სოფელი სარგებლობს; ე.წ. საწყობების უბანში აღდგა და მოწესრიგდა წყლის მიწოდება; შესაბამისი ტექნიკით მოსწორდა სავარგულებთან მისასვლელი 7 კილომეტრი სიგრძის გზა.

გურჯაანი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის, აგრეთვე ზემო ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად ზემო ქედი-არხილოსკალოს დამაკავშირებელი გზის 8-კილომეტრიან მონაკვეთზე დასრულებული სამუშაოები დაათვალიერა. გზაზე დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო თანამედროვე სტანდარტების საფეხმავლო ტროტუარები და დამონტაჟდა სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები.

ზემო ქედი-არხილოსკალოს დამაკავშირებელი გზის მშენებლობა წნორი-დედოფლისწყაროქვემო ქედის საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელდა. პროექტის დასრულების შედეგად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს უკვე აქვს სოფლებთან დამაკავშირებელი უმაღლესი სტანდარტების გზა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● მოსახლეობასთან მეტი კომუნიკაციისა და ინფორმირების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერი ჯონდო მდივნიშვილი, ლაგოდეხისა და ყვარლის მაჟორიტარ დეპუტატ გურამ მაჭარაშვილთან და მოადგილე ზურაბ ჯაფარიძესთან ერთად, სოფ. ჭიაურისა და საქობოს მოსახლეობას შეხვდა. მერმა ადგილობრივებს გააცნო პროექტები, რომელთა განხორციელებაც მიმდინარე წელს მათს სოფლებში იგეგმება. სოფელ საქობოში და სოფელ ჭიაურში წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება სასაფლაოებამდე მისასვლელ გზებს.

როგორც მუნიციპალიტეტის მერი ამბობს, სოფლად არსებული მდგომარეობის შესწავლა, მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირი, მათი ინფორმირება და ჩართულობა მისთვის მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიზნით მსგავსი საჯარო შეხვედრები ყველა სოფელში გაიმართება.

● სოფელ ძველ ანაგაში ორი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მათი საერთო სიგრძე 807 მეტრია. ანალოგიური პროექტი ხორციელდება სოფელ ჯუგაანშიც, ძველი ბურღის წყლის უბნისკენ მიმავალ გზაზე, სადაც ასფალტბეტონის საფარი იგება 880 მეტრზე. პროექტები რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით ხორციელდება. გზების რეაბილიტაცია სექტემბერში დამთავრდება.

● მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გოგილაშვილმა ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ხელმძღვანელ ზურაბ კახეთელიძესთან ერთად სოფელ ილიაწმინდაში მიმდინარე გზის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა. საბავშო ბაღთან მისასველელ 1075 მეტრ გზის მონაკვეთზე ასფალტი იგება.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერიისა და ინვალიდთა კავშირის ორგანიზებით დუშეთის მუნიციპალიტეტის უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ 57 ოჯახს 18 დასახელების მედიკამენტები და ჰიგიენური საშუალებები გადაეცათ.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● მუხურის მეფუტკრეობის სამეცნიერო ბაზის ეზოში სამეგრელო-ზემო სვანეთის აგროტურისტული ფესტივალი გაიმართა. რეგიონის პირველ აგროფესტივალში მონაწილეობდნენ: ფერმერები, მეწარმეები, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული სამმართველოები და მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები.

ფესტივალში მონაწილეობდნენ აგრეთვე: გაეროს განვითარების პროგრამების, შვეიცარიის განვითარების სააგენტოს, USAID-ის პროექტის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, სურსათის ეროვნული სააგენტოს და სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები.

სოფელ ლესიჭინეში სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას

ძლიერი საქართველოსთვის

ჩხოროწყუ

სცდელი მეურნეობის“ ფილიალის სანერგე მეურნეობა გაიხსნა.

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში გადამზადებული სამეგრელოს რეგიონის სოფლის მეურნეობის დარგობრივ სპეციალისტებს საზეიმო ვითარებაში სერტიფიკატები გადაეცათ.

● სოფელ ლესიჭინეში მიმდინარე საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა აგვისტოს ბოლოს დასრულდება. სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა და მერის პირველი მოადგილე გოჩა ჩიქოვანი გაეცნენ.

საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით მოსახლეობას მიეცემა საშუალება, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სექტორის სერვისით.

თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეში ხელმისაწვდომი იქნება უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ვიდეოკონფერენციის აპარატურა და თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკა.

საზოგადოებრივ ცენტრში დასაქმდებიან საგანგებოდ შერჩეული და გადამზადებული ადგილობრივი კადრები, რომლებიც ელექტრონული მმართველობის საშუალებით გასცემენ ცენტრალური ხელისუფლებისა და კერძო სექტორის სერვისებს. ცენტრში ასევე განთავსდება მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ოფისი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● ზუგდიდის საჭადრაკო სკოლის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია დაიწყო. სამუშაოების მიმდინარეობას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგია, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერიასთან და ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროს ლაშა ჯაიანთან ერთად გაეცნო.

ლაშა გოგია: „ზუგდიდის საჭადრაკო სკოლას არაერთი ცნობილი მოჭადრაკისა და მწვრთნელის სახელი უკავშირდება. დღეის მონაცემებით, სკოლაში 231 ბავშვი ირიცხება, რომელთა შორის საქართველოს ჩემპიონები და საერთაშორისო ტურნირის პრიზიორები არიან, ამ ბავშვებს კი ხელშეწყობა და განვითარება სჭირდებათ“.

დაგეგმილია შენობის რეკონსტრუქცია, არსებულ შენობაზე მეორე სართულის დაშენება, სადაც განთავსდება დამატებითი საკლასო ოთახები, შეჯიბრების ჩასატარებელი დარბაზი, ადმინისტრაციის ოთახი და სანიტარიული კვანძები. დამონტაჟდება წყალგაყვანილობა-კანალიზაციის, ელექტრომომარაგებისა და გათბობა-გაგრილების ახალი სისტემები; განახლდება შენობის გარე იერსახე. შენობა შშმ პირთათვის ადაპტირებული იქნება.

პროექტის სრული ღირებულება 865 300 ლარს შეადგენს. 2018 წელს შესრულდება 500 000 ლარის სამუშაო, მშენებლობა 2019 წელს დამთავრდება.

პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება.

● მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის კომისიამ ივლისში 382 ბენეფიციარს სხვადასხვა სამედიცინო მომსახურება დაუფინანსა. გახარჯულმა თანხამ 81936 ლარი შეადგინა.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში

● ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში აგვისტოს თვეში მიმდინარე ინფრასტრუქტურული ტენდერები:

ქალაქ ფოთში, დადიანის მოედნის განათების სამუშაოების შესყიდვა (წინადადებები მიიღება 17 აგვისტომდე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 23 000 ლარი);

ქალაქ ფოთში, უპოვართა სასადილოს დარბაზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვა (წინადადებები მიიღება 17 აგვისტომდე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 41525 ლარია);

ფოთში, ქუჩების ორმოული შეკეთების სამუშაოების შესყიდვა (წინადადებები მიიღება 17 აგვისტომდე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 84 300 ლარი);

ფოთში დიდების მემორიალის კაპიტალური შეკეთების შესყიდვა (წინადადებები მიიღება 22 აგვისტომდე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 60 692 ლარი);

ფოთში მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა (წინადადებები მიიღება 24 აგვისტომდე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 168 564 ლარია).

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● მარტვილის მუნიციპალიტეტში, დოშაყესა და დიდი ჭყონის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელ გზაზე, 1500 მეტრზე ასფალტბეტონის საფარის დაგება დამთავრდა (I ეტაპი). ასევე მოეწყო სავალ ნაწილზე და ეზოების მისასვლელებთან წყალსაწრეტი მილები, რკინაბეტონისა და ბუნებრივი კიუვეტები, ლითონის მილები და სანიაღვრე არხის კედლები.

დასრულებული სამუშაოები მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ დავით სურმავამ დაათვალიერა.

პროექტის ღირებულებაა 402 463 ლარი. გზის მშენებლობა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

ზუგდიდი

სენაკის მუნიციპალიტეტში

● ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრსა და მე-2 ნოსირის უბანში სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი და მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია ადგილობრივ მცხოვრებლებს შეხვდნენ. მერის თქმით, ძველ სენაკში უახლოეს პერიოდში დაიწყება გაზიფიცირების პროცესი — დამონტაჟდება როგორც საჰაერო, ისე მიწისქვეშა გაზსადენი ქსელი და იგი ადმინისტრაციულ ერთეულს სრულად მოიცავს. იგეგმება აგრეთვე შიდა საუბნო გზების, წყალმომარაგებისა და გარე განათების რეაბილიტაცია.

დიალოგის რეჟიმში მიმდინარე შეხვედრაზე მერმა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს და ამისა, სოფელ ხატისოფელში მიმდინარეობს წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდება ცენტრალური მაგისტრალი, სატუმბი სადგური და რეზერვუარი. სამუშოები აგვისტოს ბოლოს დასრულდება. სოფლის მომმარაგებელი ცენტრალური მაგისტრალის საერთო სიგრძე 7 კილომეტრია. 2015–2016 წლებში რებილიტირებულია აღნიშნული მაგისტრალის 4-კილომეტრიანი მონაკვეთი, დარჩენილი ნაწილი კი წლის ბოლომდე აღდგება. პროექტის დასრულების შემდეგ სოფელს წყალმომარაგების მიწოდების გრაფიკი საგრძნობლად გაუუმჯობესდება.

მოსახლეობის მოთხოვნისამებრ, ინფრატრუქტურის სამსახურის თანამშრომლებმა ადგილობ-

დმანისი

გააცნო მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები და ასევე პროექტები, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით უნდა განხორციელდეს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ხატისოფლის მოსახლეობას ამჟამად სასმელი წყალი ყოველდღიურად სამსაათიანი გრაფიკით მიეწოდება. გარ-

რივებთან ერთად განახორციელეს სოფელში მონიტორინგი, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას არ აქვს შიდა ონკანები დამონტაჟებული, რაც წყლის დანაკარგს ზრდის, ეს ყოველივე კი სასმელი წლის გრაფიკის სიმცირეზე აისახება.

ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლები სისტემატურად ხვდებიან მოსახლეობას და ერთობლივად აზუსტებენ პრიორიტეტულ საკითხებს.

დმანისის მუნიციპალიტეტში

● ჰეპატიტის კვირეულის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა ჩაატარა ნებაყოფლობითი C ჰეპატიტის უფასო სკრინინგი, რომელმაც მუნიციპალიტეტის სოფელი ტნუსიც მოიცვა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, სულ გამოკვლეულია 50 ბენეფიციარი

პროექტის ფარგლებში განხორციელდა საინფორმაციო საგანმანათლებლო აქტივობები. მოსახლეობაში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ცნობიერების ამაღლების მიზნით დარიგდა საინფორმაციო სახის ბროშურები.

რა მსგავსებაა ხადას ხეობაში მომხდარ ტრაგედიასა და 25 წლის წინათ მომხდარ ვუდროფის მკვლელობას შორის

ხადას ხეობაში მომხდარმა საზარელ მკვლელობაში ბრალდებულ 19 წლის მალხაზ კობაურს პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდება, რასაც ბრალდებულის ადვოკატიც დაეთანხმა. კობაური უკვე გადაყვანილია შესაბამის დაწესებულებაში, მას რამდენიმე დღის განმავლობაში დააკვირდებიან სპეციალისტები, რის შემდეგაც დაიდება დასკვნა ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ. გამოძიება რატომღაც ახლაღა დაინტერესდა იყო თუ არა შერაცხადი კობაური იმ პერიოდში, რა დროსაც მძიმე დანაშაულის ჩადენას ედავებიან. ბრალდებულის ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ამ მხრივ პრობლემები არ აქვს. ცნობისთვის, „ავადსახსენებელი“ კომუნისტების მმართველობის პერიოდში ადამიანი მკვლელობას რომ ჩაიდენდა, მას ყველა

შემთხვევაში უტარდებოდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. პროფესიონალ ფსიქიატრთა განცხადებით, არცთუ იშვიათად ისმებოდა მკვლელობის აფექტის მდგომარეობაში ჩადენის საკითხი. არსებობს აფექტის ორი სახე, ფიზიოლოგიური და პათოლოგიური, რაც სრულიად განსხვავებული ცნებები ყოფილა. პათოლოგიური აფექტის დროს, ადამიანს სრულიად ებინდება გონება, მერე შეიძლება საერთოდ აღარ ახსოვდეს რა ჩაიდინა. ვფიქრობთ, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ შთაგონების შემთხვევაში, მან არჩადენილი დანაშაულიც დაიბრალოს. არის თუ არა კობაური რეალური დამნაშავე, აქ საზოგადოების აზრი ორად იყოფა, ერთნი დაჟინებით ამტკიცებენ, რომ სწორედ მან დახოცა ცოლ-ქმარი სმიტები და მათი ოთხი წლის ბიჭი და „მკვლელის“ ჩაქოლვას თუ არა, სამუდამო პატიმრობას ითხოვენ. ეს „ღრმადდარწმუნებულები“ იმ ადამიანებსაც აქილიკებენ, ვისაც არ სჯერა, რომ ხსენებული ამაზრზენი დანაშაული კობაურმა ჩაიდინა, მით უმეტეს მარტომ. აქვე სამედიცინო და ბიოლოგიურ ექსპერტიზების დასკვნებს იშველიებენ, მეტი რაღა მტკიცებულება გინდათ, ნუთუ ოფიციალურ დასკვნებზე მეტად, 19 წლის მწყემსის თვალების გჯერათ, რომ ასეთ დანაშაულს არ ჩაიდენდაო. სხვათა შორის, „ურწმუნოთა“ შორის, კომპეტენტური ადამიანები, პროფესიონალი სამართალდამცავებიც არიან, რომლებსაც საკმაო გამოცდილება აქვთ იმისთვის, რომ შავი და თეთრი გაარჩიონ ერთმანეთისგან, მით უმეტეს, რომ ბევრჯერ შეხვედრიან „უტყუარ“ დასკვნა-მტკიცებულებებს. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ამ საქმეში რომ ბევრი საეჭვო დეტალია, ვფიქრობთ, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ამ სს-ის საქმის პროკურორის განცხადებით, მკვლელობაში ბრალდებულმა კობაურმა თავად აპოვნინა ბავშვის ცხედარი სამართალდამცავებს, უშუალოდ მან მიუთითა ის ადგილი, სადაც ბავშვის ცხედარი და სხვა ნივთები გადამალა. კობაური ისეთ დეტალებზე საუბრობს, რომ შეუძლებელია ეს ისეთმა პირმა

იცოდეს, ვინც დანაშაულის მოხდენის დროს შემთხვევის ადგილზე არ იმყოფებოდა და უშუალოდ არ ჩადიოდა დანაშაულს. კერძოდ, როგორ მოკლა მამაკაცი, რომელსაც ჯერ ზურგში ესროლა, მერე თავში, სხვათა შორის, ზუსტად ეს საკონტროლო გასროლა იწვევს ეჭვს გამოცდილ პოლიციელებში, რადგან ე.წ. კონტროლკა მკვლელის პროფესიონალიზმზე მიუთითებს. კობაურმა თქვა, შემდეგ როგორ ესროლა ბავშვს, როგორ გამოეკიდა დედას, მითუმეტეს მას ჰქონდა თოფი და იყო ნასვამი. ქალი გაქცევისას ხევში გადავარდაო. მერე ისიც ითქვა, რომ კობაურმა ქალი გააუპატიურა და თვითონ დაახრჩო წყალში, რასაც ექსპერტიზების დასკვნებიც ადასტურებსო. ბრალდებულმა კობაურმა როცა უარყო დანაშაულის ჩადენა, გავრცელებული ინფორმაციით, თქვა, რომ ორმა უცხოელმა, სავარაუდოდ დაღესტნელებმა ჩაიდინეს ეს დანაშაული, თუმცა ადვოკატის განცხადებით, მან სხვა პირებზეც ისაუბრა, ოღონდ დეტალებზე ჯერ არ ისაუბრებსო. პროფესიონალ სამართალდამცავთა განცხადებით, კობაური შეიძლება მართლაც შეესწრო ამაზრზენ მკვლელობას და დეტალებზეც იმიტომ საუბრობს, თუნდაც იმაზე სად გადამალეს ბავშვის ცხედარი. გამოძიებას კობაურის ე, წ. აღიარებითი ჩვენების გარდა, ფაქტობრივად სხვა მტკიცებულება არ აქვს, მარტო აღიარება კი უტყუარი მტკიცებულებების გარეშე არაფერს ნიშნავს, ასე შეიძლება ბევრი რამე „აღიარო“, მათ შორის, კენედის მკვლელობაცო.

სიმართლე გითხრათ, ოფიციალური ვერსიის ჩვენც ნაკლებად გვჯერა, ოღონდ აქ საქართველოს პროკურატურა-პოლიციის მიმართ ნდობა და პროფესიონალიზმი არაფერ შუაშია. ეს საშინელი მკვლელობა რომ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული არ არის, ბევრი დეტალი მიანიშნებს, აქ სხვა გაცილებით სერიოზული ინტერესი და მოტივი იკვეთება, რაც ვფიქრობთ, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს სცილდება და საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი სამართალდამცავი და საგამოძიებო სტრუქტურები ფაქტობრივად ხელფეხშკრულნი არიან, რადგან გლობალური

პოლიტიკური მოთამაშეები მათ ობიექტური გამოძიების უფლებას არ მისცემენ. ასე რომ არ იყოს, რა ინტერესი უნდა ჰქონდეს ჩვენს პოლიცია-პროკურატურას, რომ ეს ამაზრზენი დანაშაული საკუთარ მოქალაქეს, 19 წლის მწყემსს „დააბრალოს“, თუ მას ეს მართლაც არ ჩაუდენია?! კომპეტენტურ ადამიანებს კობაურის მიმართ ნაგვიანევად დანიშნულმა ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამაც გაუჩინა ეჭვი, მოგეხსენებათ, იგი ცოლ-ქმარ სმიტებისა და მათი მცირეწლოვანი შვილის მკვლელობას დღემდე არ აღიარებს, რა იცით რა მედიკამენტებით გაჭყიპავენ სასურველი შედეგის მისაღებად. ეს საქმეაც რეალურად არ გაიხსნება, ისევე, როგორც სხვა რეზონანსული მკვლელობები, სადაც ასევე ყავდათ ბრალდებულ-მსჯავრდებულები, მაგრამ საქმეში ჩახედულმა ხალხმა კარგად იცის, რომ ისინი „ყურით მოთრეული“ დამნაშავეები იყვნენო. სმიტების ოჯახის ტრაგედიამ ბევრს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (ცსს) ოფიცრის ფრედი ვუდროფის 25 წლის წინ მომხდარი მკვლელობა გაახსენა. „საერთო გაზეთში“ ამ მკვლელობის შესახებ, კარგად ინფორმირებულ სანდო წყაროებზე დაყრდნობით, თავის დროზე წერდა, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ორ საქმეში მართლაც არსებობს მსგავსება. მაშინ ეს საქმეც „გაიხსნა“, მაგრამ პროფესიონალი პოლიციელების კერძო საუბარში არ მალავდნენ, რომ ვუდროფის მკვლელობაში მსჯავრდებულს არ მოუკლავს საქართველოში ამერიკელი დიპლომატის ეგიდით ჩამოსული სპეცსამსახურის ოფიცერი. სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება რამდენიმე წლის წინ აპირებდა ამ საქმის ხელახალ გამოძიებას, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებდა, რომ ეს საქმე თავის დროზე სათანადოდ არ იქნა გამოძიებული, განახლდა თუ არა ძიება ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან საჯაროდ აღარ გაკეთებულა განცხადებები. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძიება არ დაწყებულა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

ვუდროფის მკვლელობაში ანზორ შარმაიძეს დასდეს ბრალი, მიუხედავად საქმეში არსებული ბევრი საეჭვო დეტალისა მას 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მოგვიანებით, ციხიდან გაქცევის მცდელობისთვის სამი წელი დაუმატეს, თუმცა 2008 წელს გაათავისუფლეს. შარმაიძე სატელევიზიო ინტერვიუში აცხადებდა, რომ აღიარებითი ჩვენება სასტიკი წამების შედეგად გამოსძალეს. გოგოლაძე ინციდენტის ადგილზე დაბრუნდა და სამი ნასვამი პირი დააკავა, მათ შორის ანზორ შარმაიძე. ამ უკანასკნელის დამნაშავეობაში თავიდანვე ეჭვი ეპარებოდა, როგორც ქართულ საზოგადოებას, ისე გარდაცვლილი ვუდროფის ოჯახს. ოფიციალური ვერსიის არც თეა წულუკიანს სჯეროდა, შარმაიძე მხოლოდ იმიტომ გაასამართლეს, რომ სჭირდებოდათ პირი, ვისაც მკვლელობას დააბრალებდნენ, რადგან ამ მკვლელობამ სერიოზულად შეაცბუნა ედუარდ შევარდნაძე. ვუდროფის ოჯახის ადვოკატი აცხადებდა, რომ შარმაიძე უბრალო მსხვერპლია, რომელიც მისაღები იყო ვაშინგტონისთვისაც, რომელსაც დამნაშავის დაკავება სურდა და რუსეთისთვისაც, რომელსაც არ

უნდოდა ამ მკვლელობასთან რაიმე კავშირი ჰქონოდა.

ხადას ხეობაში მომხდარ საზარელ მკვლელობასთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ პროფესიონალ „ოპერატივნიკს“, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ **დავით გაგნიძეს**, რომლის განცხადებითაც აშშ-მა ამ შემთხვევაშიც საკმაოდ ბუნდოვანი პოზიცია დაიკავა.

დავით გაგნიძე: როგორც შარმაიძის შემთხვევაში, ახლაც ეჭვი მეპარება, რომ კობაური იყოს მკვლელი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცოლ-ქმარი სმიტები სპეცსამსახურის თანამშრომლები იყვნენ, ვფიქრობ, ისინი რაღაცის შესამოწმებლად იყვნენ ჩასული ხადას ხეობაში, ბავშვი სპეციალურად ეყოლებოდათ წაყვანილი, რომ არავინ დაეჭვებულიყო მათ რეალურ ინტერესში, ეს აპრობირებული მეთოდია ეჭვის გასაქარწყლებლად. მათ ეტყობა რაღაც ისეთი ნახეს იქ, რაც არ უნდა ენახათ, ამიტომაც მოიშორეს, თანაც ასეთი საზარელი გზით, ესეც სპეცსამსახურების მეთოდია. ეს მკვლელობა საეჭვოდ დაემთხვა ჩვენი მესაზღვრეების გატაცებას, რომლებიც მალევე გამოუშვეს. მათაც რაღაც ისეთი ნახეს, თორემ ორივე მხარის წარმომადგენელმა მესაზღვრემ შეიძლება უნებლიედ დაარღვიოს საზღვარი, მაგრამ მას არავინ იჭერს და მიყავს. არსებობს ინფორმაცია, რომ ჩვენს აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე რუსული სამხედრო დანაყოფებია შემოსული, ეტყობა ამის შესამოწმებლად იყვნენ ჩასულები სმიტები და დააფიქსირეს კიდეც, მესაზღვრეების შემთხვევაშიც ასე მგონია. შეიძლება მწყემსი ბიჭი მათ მართლაც წაიყვანეს მეგზურად, რადგან კარგად არ იცნობდნენ იქაურობას, გადააწყდნენ იქ რაღაც ჯგუფს და ამ ბიჭმა საკუთარი თვალით ნახა სმიტებს როგორ გაუსწორდნენ. კობაური იმიტომაც დატოვეს ცოცხალი, რომ ესეც წინასწარ იყო გათვლილი, რომ მას დაბრალდებოდა ეს საზარელი დანაშაული, სიმართლეს არავინ დაუჯერებდა. კითხვა რატომ არავის უჩნდება, რატომ იყო მოკლული მამაკაცი შიშველი, რაში ჭირდებოდა ეს კობაურს? ათლეტური აღნაგობის მამაკაცს ცოცხალს ეს ვერ გააშიშვლებდა, თუ მოკვლის შემდეგ გააშიშვლა, რა იყო მისი მიზანი, დასვა გამოძიებამ ეს კითხვა? აქედანაც ჩანს, რომ ამ ბიჭს არ მოუკლავს, მამა-სმიტი ვიღაცებმა აწამეს და ამიტომაც გააშიშვლეს. ან რომ ამტკიცებენ ქალბატონი გააუპატიურა კობაურმაო, ეს არის სრული აბსურდი, გამორიცხულია ერთმა კაცმა, მითუმეტეს ასეთი აღნაგობისამ მარტო მყოფმა გააუპატიუროს ქალი, თანაც ისეთი ფიზიკური მონაცემების მქონე, როგორიც ის ქალბატონი იყო. მორიგი სისულელეა თოფზე აქცენტის გაკეთება, თან სანადირო თოფით ემუქრებოდა და თან აუპატიურებდა? რაც შეეხება ექსპერტიზის დასკვნებს გაუპატიურებასთან დაკავშირებით, დასკვნები თავადაც მოგეხსენებათ როგორ კეთდება, როცა ამხელა დაინტერესება არსებობს. შეიძლება ის ქალბატონი მართლაც იყო გაუპატიურებული, მაგრამ ეს ამ ბიჭმა ჩაიდინა? აი, ეს არის მთავარი. ვფიქრობ, კობაური სიმართლეს ამბობს იმ ფაქტთან დაკავშირებითაც, რომ თავდამსხმელები ორზე მეტი იყვნენ, ორი კაცი ამას ვერ შეძლებდა. ისიც ძალიან მენიშნა, რომ კობაური თავდამსხმელებად დაღესტნელებს მოიხსენიებს. გამალებული შენდება დაღესტნიდან კახეთში გადმოსასვლელი გზა (ყადორი), ჩემი ინფორმაციით, ამ ტერიტორიაზეც შეუნიშნავთ რუსი სამხედროები. ადრეც გითხარით, რომ ამერიკა რუსეთს უბრუნებს თავისი გავლენის სფეროებს და ეს საქართველოსაც ეხება. ამ შემთხვევაშიც ამერიკის რბილად რომ ვთქვა, გაურკვეველი პოზიცია, როცა ეს საზარელი მკვლელობა ყოფით ნიადაგზე მომხდარ დანაშაულად უნდა შემოგვასაღონ, მაფიქრებინებს, რომ ეს ყველაფერი იმ „გადაცემამიღების“ ერთერთი ეტაპია. როცა შენს მოქალაქეებს, მით უმეტეს სპეცსამსახურის წარმომადგენლებს ასეთი სასტიკი მეთოდით უსწორდებიან და შენ დუმილს ამჯობინებ, უფრო მეტიც, ემიჯნები ამ ყველაფერს, ჭკუათმყოფელმა, მეტნაკლებად საღად მოაზროვნე ადამიანმა სხვა რა უნდა იფიქროს?

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— ჩემმა წარმომადგენელმა სამოქალაქო საქმეზე სარჩელი გამოიხმო სასამართლოდან. მას ამის უფლება ჰქონდა ჩემს მიერ სანოტარო წესით დადასტურებული რწმუნებულების მიხედვით. ამიხსნა, რომ სარჩელის გამოხმობა ემსახურება ჩემს ინტერესებს და რომ არის საკითხები, რომელთა შესახებ დამატებითი მტკიცებულებები უნდა იქნეს შეგროვილი. ცოტა არ იყოს, შეშფოთდი. სარჩელის გამოხმობა მოსარჩელის მიერ ხომ არ ნიშნავს მოთხოვნაზე უარის თქმას?

— თქვენს წარმომადგენელს ამის უფლება ჰქონდა თქვენივე მინიჭებული უფლების მიხედვით და რადგან მან ჩათვალა, რომ სარჩელის გამოხმობა ისევ თქვენს ინტერესებს ემსახურება დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებისათვის, ალბათ, ასეა. რაც შეეხება კითხვას, ხომ არ ნიშნავს სარჩელის გამოხმობა მოთხოვნაზე უარის თქმას, აღნიშნულთან დაკავშირებით, თქვენი სიმშვიდისათვის, დაგიკონკრეტებთ შემდეგს:

— საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამასთანავე, მას დაეკისრება მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების გადახდა. სააპელაციო ან საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

* * *

— მე და ჩემი მეუღლე ვზრდიდით მეუღლის ობოლ ძმისშვილს, რომელსაც ორივე მშობელი ავტოავარიაში დაეღუპა. გადავწყვიტეთ ბავშვი გვეშვილა, რადგან ჩვენ შვილი არ გვყავდა, ხოლო ჩემს ქმარს არ უნდოდა, ბავშვის მიმართ მხოლოდ ბიძის სტატუსით ეზრუნა, რადგან ბიჭი მართლა შვილივით გვიყვარს. შევიტანეთ სარჩელი სასამართლოში, მაგრამ მოულოდნელად ჩემი მეუღლე დაიღუპა. ხომ არ შემექმნება პრობლემა ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებით მეუღლის გარდაცვალების გამო?

— არა, პრობლემა არ შეგექმნებათ, რადგან თქვენი მეუღლის სიცოცხლეშივე შეგიტანიათ სარჩელი სასამართლოში. ამ სარჩელში დაფიქსირებულია ნება თქვენი მეუღლისა, რომ სურს, იყოს ბავშვის მამა. ვფიქრობ, სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლი სრულად გასცემს პასუხს თქვენს შეკითხვას:

მუხლი 1240. შვილად აყვანის დადასტურება აღმზრდელის გარდაცვალებისას

აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლოს

წესით დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში

შვილად იყო მიღებული, აგრეთვე, თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ.

თქვენს შემთხვევაში ყველა პირობა დაცულია: ბავშვი თქვენს ოჯახში უკვე იზრდება, როგორც შვილი და, ასევე, თქვენ და აწ გარდაცვლილ თქვენს მეუღლეს უკვე შეტანილი გაქვთ სარჩელი სასამართლოში. ბავშვის დაბადების მოწმობაში თქვენ მითითებული იქნებით, როგორც დედა, ხოლო თქვენი მეუღლე, როგორც მამა.

მადურა აფეთქებას გადაურჩა, მაგრამ აშშ-ს და თურქეთის ურთიერთობა აფეთქების ზღვარზეა

გასულ კვირას ვენესუელას დედაქალაქ კარაკასში სამხედრო აღლუმი ტარდებოდა. ქვეყნის პრეზიდენტის ნიკოლას მადურას სიტყვით გამოსვლისას აფეთქების ხმა გაისმა. გაკვირვებულმა პრეზიდენტმა მაღლა აიხედა და იკითხა, რა მოხდაო. მისი მეუღლე, მართალია, შეკრთა, მაგრამ მადურამ სიტყვის გაგრძელება სცადა, ამის საშუალება მას დაცვამ არ მისცა და გაიყვანა. ამასობაში კი მეორე აფეთქების ხმაც გაისმა.

აღლუმზე პანიკამ დაისადგურა, ხალხი ტრიბუნებიდან გაიქცა, მათ შორის, სამხედროების ნაწილმაც მიატოვა აღლუმი. უნდა ვაღიაროთ, რომ პრეზიდენტს ღირსეულად ეჭირა თავი, როგორც ამბობენ, წარბი არ შეუხრია. ამ კადრებმა ზუსტად ათი წლის წინ გორის ქუჩაში სამარცხვინოდ გაგორებული შლეგი სააკაშვილი გამახსენა...



აფეთქების შემდეგ მალევე მადურამ ტელევიზიით მიმართ მოსახლეობას და სიმშვიდისკენ მოუწოდა. პრეზიდენტმა მომხდარი ტერორისტულ აქტად შეაფასა, რომლის განხორციელებაში ადგილობრივი ულტრამემარჯვენე ძალები და კოლუმბიის ხელისუფლება.დაადანაშაულა. ამასთან, მადურამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დონალდ ტრამპს მიმართა. მისი განცხადებით, განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორები და დამფინანსებლები ამერიკაში ცხოვრობენ. მადურამ სთხოვა ტრამპს, გამოიძიონ და დამნაშავეები გადასცენ.

მომხდარი ტერაქტის მცდელობა ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანამ დაგმო, გარდა კოლუმბიისა. თუმცა ტერაქტში მონაწილეობის ბრალდება კოლუმბიის მხარემ სასტიკად უარყო. აშშ-იც თავდაპირველად დუმდა, მაგრამ მეორე დღეს პრეზიდენტის თანაშემწემ უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონმაც უარყო ტერაქტის ორგანიზატორების ამერიკიდან დაფინანსება და თვით ორგანიზატორების მათ ტერიტორიაზე ყოფნა. თუმცა აქვე სათქმელია, რომ აშშ-ის მხარე წინააღმდეგია მადურას ქვეყნის სათავეში ყოფნით და, საერთოდ, არსებული რეჟიმით, რასაც ღიადაც აფიქსირებენ. ვენესუელელებს არც კოლუმბიელებთან აქვთ თბილი ურთიერთობა. ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში მადურამ პირდაპირ განაცხადა, კოლუმბია ჩვენთან შეიარაღებულ კონფლიქტს აპირებსო. ახლა არშემდგარ ტერაქტზე ვენესუელაში მოქმედმა არაფორმალურმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ აიღო პასუხისმგებლობა.

აქვე უნდა გავიხსენოთ შარშან ზაფხულში სამთავრობო შენობებზე სამხედრო ვერტმფრენით განხორციელებული შეტევა, რომელშიც ყოფილი ოფიცერი მონაწილეობდა. მართალია, შეტევის შემდეგ რამდენიმე თვე იმალებოდა, მაგრამ სამართალდამცავებმა გაზაფხულზე მოახდინეს მისი ლიკვიდირება.

ექსპერტებმა მომხდარი მაღალტექნოლოგიურ ტერაქტად შეაფასეს. იმის გარდა, რომ თავდასხმა უპილოტო საფრენი აპარატით ხორციელდებოდა, ასაფეთქებელ ნივთიერება დიქსოგენს შეიცავდა. ნივთიერება მიუწვდომელია ე.წ. „ელიტური მომხმარებლისთვის" იარაღის შავ ბაზარზეც კი. ექსპერტებისთვის გაუგებარია, როგორ მოხვდა ასეთი ძლიერი ქიმიური ნივთიერება ტერორისტების ხელში.

ტერაქტი მადურას წინააღმდეგ ვერ განხორციელდა. უპილოტო საფრენი აპარატები სნაიპერებმა, მადურას დაცვამ ჰაერში ააფეთქეს. შვიდი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. ცნობილი გახდა ტერაქტის მომწყობი ექვსი პირის დაკავების შესახებ. მათ გარდა ლათინოამერიკული პრესის ინფორმაციით, 11 ჟურნალისტი დააპატიმრეს ხელშეწყობის ბრალდებით. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ჯერ გაურკვევლობაა და მოსახლეობა მოვლენების განვითარებას ელოდება.

სამი რუსი ჟურნალისტი მოკლეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. როგორც ცნობილი გახდა, ისინი რუსეთიდან დევნილი ხადარკოვსკის კუთვნილმა მედიაცენტრმა მიავლინა აფრიკის ქვეყანაში რუს ინსტრუქტორებზე რეპორტაჟის გასაკეთებლად. თუმცა მათ ვიზიტი არ შეათანხმეს არც ადგილობრივ ხელისუფლებასთან და არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ქვეყანაში ქაოსი და სამოქალაქო ომია, ჟურნალისტები კი ყოველგვარი დაცვის გარეშე, ღამით გადაადგილდებოდნენ, რაც ყოვლად დაუშვებელია. ეჭვს იწვევს ავტომანქანის მძღოლის, ადგილობრივი მოსახლის თავდამსხმელების მიერ ცოცხლად დატოვება. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლების განცხადებით, მკვლელობა ძარცვის მიზნით მოხდა.

ამოქმედდა ირანისთვის აშშ-ის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციები. შეგახსენებთ, დონალდ ტრამპმა მაისის დასაწყიში მოაწერა ხელი განკარგულებას ირანთან ბირთვული შეთანხმებიდან გასვლის შესახებ, რასაც ისრაელის გამოკლებით მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ლიდერები ეწინააღმდეგებოდნენ და არ ურჩევდნენ. თუმცა ტრამპმა თავისი გაიტანა. ევროკავშირის ქვეყნების შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ სანქციებში მოხვდებიან ისინიც, ვინც რაიმე სახით ითანამშრომლებს ირანთან. სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეო ეთანხმება პრეზიდენტის გადაწყვეტილებას და ირანისგან ყოველგვარი ბირთვული მუშაობის შეწყვეტას ითხოვს.

პოლიტოლოგების გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ გასულ კვირას დონალდ ტრამპმა განაცხადა: „...თუ ირანელები მზად არიან და სურთ ყოველგვარი წინაპირობების გარეშე პირადად შევხვდები პრეზიდენტ ჰასან რუჰანისო". ტრამპმა ეს განცხადება იტალიის პრემიერ-მინისტრთან ჯუზეპე კონტისთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა, რომელიც ვაშინგტონში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. ირანელები ტრამპის შეთავაზებით არ აღფრთოვანებულან, შეხვედრისთვის წინაპირობები თავად წამოაყენეს. მათი მთავარი მოთხოვნაა აშშ-ის ბირთვულ შეთანხმებაში დარჩენა და სანქციებიას გაუქმება. ირანელთა წინააღმდეგობამ გააღიზიანა აშშ-ის მხარე და სანქციების გაუქმების ნაცვლად უფრო მეტად გამკაცრებასაც კი აპირებენ.

სწორედ სანქციები და სავაჭრო ომი იყო ჯუზეპე კონტის აშშ-ში ვიზიტის მიზეზი. შეხვედრის შემდეგ დონალდ ტრამპმა და იტალიის პრემიერმა კი განაცხადეს, შეთანხმებას მივაღწიეთო, მაგრამ რას კონკრეტულად, არ უთქვამთ. მართლდება იმ პოლიტოლოგების მოსაზრება, რომლებიც ვარაუდობდნენ, ტრამპს აწყობს და უფრო გაუადვილდება ცალ-ცალკე ქვეყნებთან მოლაპარაკება, ვიდრე მთელ ევროკავშირთანო. თუმცა რა გადაწყვეტილებას მიიღებს ტრამპი, ტრადიციულად, გამოუცნობია.

ფაქტობრივად, უშედეგოდ დამთავრდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტერეზა მეისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის შეხვედრა. ტერეზა მეის სურს ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა ქვეყნისთვის უმტკივნეულოდ მოხდეს, შეინარჩუნონ არსებული პრივილეგიები, რომლებიც ორგანიზაციაში აქვთ და ამასთან, დამოუკიდებლად აწარმოონ ქვეყნებთან ვაჭრობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრიტანეთი ჩინეთისკენ გადაიხრებაო, — იმუქრება მეი. ევროკავშირი ამის წინააღმდეგია. ამიტომაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღება საშემოდგომოდ გადაიდო.

მორიგი აზიური ტურნე განახორციელა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკლ პომპეომ. სინგაპურში „ასიანის" (აზიის ქვეყნების შეკრება) სამიტზე გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეა დათქმულ ვადებში მოახდენს ბირთვული იარაღის უტილიზირებას. თუმცა შეკრებილ საზოგადოებას მოუწოდა, არ შეარბილონ ჩრდილოეთ კორეისთვის დაწესებული სანქციები: „...მსოფლიო ჩვენი მადლობელი უნდა იყოს კორეის ნახევარკუნძულზე დამყარებული მშვიდობისთვის", — განაცხადა პომპეომ. იგი სინგაპურში პირისპირ ესაუბრა ჩინელ კოლეგას, თუ რის შესახებ, ტრადიციულად, უცნობია. რამდენად გამართლდება პომპეოს დანაპირები ჩრდილოეთ კორეის განიარაღებაზე, მკაცრი სანქციების პირობებში ძნელი სავარაუდოა.

თურქეთისა და აშშ-ის ურთიერთობა ყოველდღიურად იძაბება. აშშ-მა თურქეთის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს სანქციები დაუწესა,. მიზეზი ამერიკელი პასტორის დაკავებაა, რომელიც 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების ხელშეწყობისთვისაა ბრალდებული. „...ჩვენთან მუქარის ტონით საუბარი შეუძლებელია. ჩვენ აშშ-ს ნატოში დიდი დახმარება გავუწიეთ და ვერ მოვითმენთ მსგავს დამოკიდებულებას", — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ერდოღანმა. თურქეთის მხარემ უმალ უპასუხა აშშ-ს და ანალოგიური სანქციები დაუწესა იქაურ ჩინოვნიკებს. აშშ-ის ადმინისტრაციაზე, თურქეთის ხელისუფლებასთან ერთად, მოსახლეობაც განაწყენებულია, ექსპერტების შეშფოთებას იწვევს ნატოს ორი დიდი ქვეყნის ღია და მძაფრი დაპირისპირება.

გია ბურდული
551 71 27 07

მაინც რით არის უკმაყოფილო მუსულმანი მოსახლეობა მეჩეთებით მოჩითულ საქართველოში?

ბატონ **ელბრუს მამედოვთან** საუბრის სურვილი მას შემდეგ გამიჩნდა, რაც ქართულ საზოგადოებაში ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობაზე დაიწყო ვნებათაღელვა. დამაინტერესა, რას ფიქრობდნენ ამის შესახებ ჩვენი არაქართველი მუსულმანი მოქალაქეები.

გთავაზობთ **ინერვიუს ნაციონალური უმცირესობების უფლებადამცველთა ჯგუფის ხელმძღვანელთან, ბატონ ელბრუს მამედოვთან**

— ჩვენ ხშირად გვესმის, ვკითხულობთ კომენტარებს სოციალურ ქსელებში იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანული თემი უკმაყოფილოა და რატომ არიან ისინი ასე უმადურნი. „ყველაფერი ხომ უკეთესობისკენ მიდის, ახლა თქვენ, მუსულმანურ სათვისტომოს, გყავთ პოლიტიკოსები, ჩინოვნიკები, საზოგადოებრივი მოღვაწეები და მარნეულის მერიც კი გყავდათ. არიან აზერბაიჯანელი აქტივისტები, აგერ, პარლამენტში სხედან დეპუტატები. ეს არის ყველაზე მაღალი ნებართვა, თუნდაც თქვენთვის. თუ თქვენ, მუსულმანური სათვისტომო, ამ ყველაფრის მიუხედავად, თვლით, რომ თქვენი საქმეები დაუფასებელი რჩება და თქვენ არ ხართ ამით კმაყოფილნი?" – აი, ეს არის საუბრის მანერა მუსულმანებისადმი.

დღეს ჩვენ გვეუბნებიან, რომ გვაქვს უფლება ვიყოთ ნამდვილი მოქალაქეები, მაგრამ, როდესაც ჩვენს უფლებებს წამოვწევთ კულტურულ, რელიგიურ და ეთნიკურ იდენტობაზე, ვალდებულნი ვხდებით, ვიყოთ ნებადართულის ფარგლებში და ბევრის უფლება არ გვაქვს.

დღეს ასეთი მდგომარეობაა: მუსულმანურ თემს უცხადებენ, თუ თქვენი თემი კარგად მოიქცევა, მაშინ მას ნებას დართავენ ზოგიერთ პრივილეგიაზე, რომლებიც მაქსიმალურად დოზირებული იქნება.

- ვერ დაგეთანხმებით, რომ აზერბაიჯანელი „დოზირებულად" ცხოვრობს საქართველოში, მაგრამ, მოდით, ამ საკითხს სხვა კუთხით შევხედოთ, თქვენ ხშირად უკეთებთ ტირაჟირებას, მაგალითად, ბათუმელი მუსლიმის ტარიელ ნაკაიძის განცხადებებს და ამის გამო არავინ გავიწროვებთ. სამართლიანად მიგაჩნიათ მისი მოთხოვნა?

- ტარიელ ნაკაიძე, არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად ისეთივე მუსლიმი ქართველია, როგორც ის ქართველები, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ საკუთარი ცხოვრების წესი, საკუთარი რწმენა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ტარიელ ნაკაიძე არის ქართველი, რომელიც რატომღაც ცხოვრობს ისე, თითქოს აფხაზეთში იმყოფებოდეს. მისი უფლებები დარღვეულია და სიმბოლიზირებას ახდენს ისეთივე ქართველების, რომლებიც სეგრეგაციასა და შევიწროებას განიცდიან აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან. ასე ვიტყოდი, დღეს მძაფრი მტრობისა და სიძულვილის ენა ტარიელ ნაკაიძისა და საქართველოს მუსლიმებისადმი სწორედ ისეთივე თავდასხმაა, როგორც გალელის მიმართ აფხაზი სეპარატისტების მხრიდან შევიწროება.

- მე მგონი, არასწორ, ცოტა არ იყოს, პროვოკაციულ პარალელებს ავლებთ, ბატონო ელბრუს...

ბოლო პერიოდში საქართველოში ასეულობით მეჩეთი აშენდა. კიდევ რა უფლებებზე ლაპარაკობთ?

- მე გამუდმებით ვხედავ ციფრს, რომელიც რატომღაც საფრთხობელადაა ქცეული ქართული საზოგადოებისთვის. ჩვენ ვსაუბრობთ ღმერთისადმი სალოცავ სახლებზე, მაგრამ ჩვენ არ ვლაპარაკობთ ათობითა და ასობით კაზინოზე, მოზარდთა გარყვნილების ფარულ სახლებზე, კლუბებსა და დისკოთეკებზე, სადაც მოიხმარენ სხვადასხვა სახეობების ნარკოტიკს. ჩვენ ვსაუბრობთ სახლზე, სადაც ღმერთისადმი ლოცულობენ. როდესაც ციფრებით მანიპულირებას ცდილობენ და აქსოვენ მასში ნეგატიურ მნიშვნელობას, რითაც განზრახული აქვთ მუსლიმების „ადგილზე" მოსმა. ეს, ცხადია, სიტუაციას ამძაფრებს.

ჩვენი ქართველი ძმები ყოველთვის ითხოვენ იმას, რომ ჩვენ ვიყოთ ლოიალურები და ერთგულნი მათ მიმართ, მაგრამ, ამავდროულად, არ სურთ ნახონ ჩვენში ამ ქვეყნის მკვიდრი ხალხი. ჩვენი აზერბაიჯანელებისადმი დამახასიათებელი სტანდარტი არის მხოლოდ „სტუმარი". ჩვენ კი გარწმუნებთ, რომ ვართ ერთგულნი და ლოიალურები, მაგრამ მაინც არ გსურთ ამის დაჯერება.

რაში ხედავს დღეს ქართული ქრისტიანული საზოგადოება საფრთხეს? მეჩეთებში? ღმერთისადმი სალოცავ ადგილებში?

ის ილუზია, რასაც დასავლური მედია ავრცელებს ისლამის შესახებ, თითქოს ისლამი არის ომის რელიგია, სინამდვილეს არ შეესაბამება და აბსოლუტური სიცრუეა.

მუსულმანური თემი არ ატარებს პროზელიტიზმის კამპანიას ქრისტიანებს შორის. არ ითვისებს ეკლესიებს, არ ანგრევს მათ, არ აქცევს ქრისტიანებს საკუთარ რწმენაზე და ამაში არის პოზიტიურობა. კავკასიაში შეუძლებელია იმის თქმა, რომ თქვენ გუშინ გვჭირდებოდით, დღეს კი არა, „სტუმრები" ხართ და უნდა წახვიდეთ. ამას დიდი პრობლემების მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის. ისტორია ხომ ისედაც სავსეა რელიგიური ომებითა და არაადამიანურობით?!

— **როცა თქვით, ჩვენ თქვენ ეკლესიებს არ გართმევთო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ შემიძლია არ გკითხოთ**

დავით გარეჯზე, რომელზეც მუდმივ პრეტენზიას აცხადებს აზერბაიჯანული მხარე?!

— ირანდა, ჩემი წინაპრები საქართველოში უკვე მეათე თაობა ცხოვრობს და აქვთ აქაური მოქალაქეობა. ის პრობლემები, რაც არსებობს დავით გარეჯსა და კახ-ზაქათალას მოსახლეობაში, პირდაპირ ეხება ჩემი თემის პრობლემებს. ეს საკითხები ისე პირდაპირ გვეხება ჩვენაც, როგორც, მაგალითად, მეგრელს ზუგდიდში. როცა საუბარია ამ თემებზე, აზერბაიჯანულ თემს თითქოს არაფერი გვეკითხება, არადა, ჩვენც ხომ ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ?

საერთოდაც, მიმაჩნია, რომ პრობლემები ჩვენს ორ სტრატეგიულ პარტნიორ და მეგობრულ სახელმწიფოს შორის მოგვარებადია. ეს ორი ქვეყანა ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებს და პრობლემაც აღმოიფხვრება.

ბევრმა შეიძლება არ იცის, მაგრამ აზერბაიჯანში არსებობს ქართული ეკლესია, რომელსაც აქვს თავისი სტატუსი, იქ მიმდინარეობს მღვდელმსახურებაც, მაგრამ ეს არ უშლის ხელს აზერბაიჯანულ მოსახლეობას და, შესაბამისად, არც ქართველები არიან უკმაყოფილო.

— თქვენ ერთი ეკლესიით იწონებთ თავს და ჩვენს მიწაზე 300 მეჩეთი გეცოტავებათ?

— ახლა ეს შეკითხვა რომ დამისვით, კიდევ ერთხელ გამიჩნდა იმის განცდა, გვთვლით თუ არა ქართველოები ჩვენ, მუსულმანებს საქართველოს სახელმწიფოს სრულუფლებიან წევრებად თუ ყოველთვის ცდილობთ გასასვლელი კარებისკენ მიგვითითოთ?

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მინაწერი:

ბოლო ორი ათეული წელია მაჰმადიანური სალოცავების — მეჩეთებისა და მედრესეების მშენებლობების ბუმია ამ პატარა ქვეყანაში და არავინ ეკითხება ქართველ ხალხს, სურს თუ არა ეს, მაშინ, როცა, მაგალითად, შვეიცარიაში, თურმე, მეჩეთის მშენებლობა რეფერენდუმით წყდება.

საქართველო სხვა მახასიათებლებთან ერთად იმითაც არის უნიკალური, რომ განსაკუთრებით ტოლერანტული ქვეყანაა, მაგრამ ტოლერანტობა არ უნდა ნიშნავდეს საკუთარი ინტერესების უგულებელყოფას.

ჩვენი ინფორმაციით, მხოლოდ აჭარაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში 300-ზე მეტი მეჩეთია აშენებული. თუ ასე გაგრძელდა, ქრისტიანები უმცირესობაში აღმოვჩნდებით და აღარ იქნება ლეგიტიმური ქართველების მოთხოვნა მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოვაცხადოთ ქვეყანაშიო.

დიდი ხანი არ არის, რაც ავსტრიაში კანონი მიიღეს, რომელიც მეჩეთების დახურვასა და მუსულმანი ღვთისმსახურების ქვეყნიდან განდევნას ითვალისწინებს. დონალდ ტრამპიც უარს ამბობს უახლოეს ხანებში აშშ-ში მაჰმადიანი ემიგრანტების მიღებაზე.

ჩვენ კარები ყველა მხრიდან გახსნილი გვაქვს. ყველას ვაძლევთ აღმსარებლობის თავისუფლებას და ეს ანტიდისკრიმინაციული კანონითაც განმტკიცდა, რომელიც პარლამენტმა მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ მიიღო...

ამ სიტუაციაში რა გასაკვირია, მუსულმანი მოსახლეობა თავისი უფლებების გაფართოებისთვის იბრძოდეს ქვეყანაში?!

ბატონმა ელბრუს მამედოვმა კი თქვა, მაგრამ არავინ უთითებს აზერბაიჯანელებს „კარებისკენ", ასე იყო ადრეც და ასე არის დღესაც. აზერბაიჯანელები ქართველების გვერდით მშვიდობიანად ცხოვრობენ და არავის არასდროს დაუშლია მათთვის არც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა და არც, მით უმეტეს, ალაჰის დიდება.

რამდენიმე წლის წინ ბაქოში ვიყავი.

მთელ ქალაქში ერთი ეკლესიაა და ვერავინ ითხოვს იქ კიდევ სხვა ქრისტიანული ტაძრის მშენებლობას.

ის კი არა, კახ-ზაქათალაში ეკლესიის ზარებს ქართველები მორიდებით რეკავენ, მუსულმანი მოსახლეობა არ შევაწუხოთო. როცა საკითხი დასმულა, საინგილოში ტაძრები აღვადგინოთო, აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს უთქვამს: ასეთი რამეები აზერბაიჯანში რელიგიის საბჭოს გადასაწყვეტია. მე ამ საქმეში ვერ ჩავერევიო.

კაცმა რომ თქვას, ერთი შეხედვით, თავად მეჩეთი და სალოცავი სახლი, არავითარ საფრთხეს არ წარმოდგენს, იყვნენ, ილოცონ, მაგრამ ეს ყველაფერი რელიგიურ ექსპანსიას არ უნდა დაემსგავსოს.

საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა და აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე მეჩეთების მშენებლობა, დიახაც, დიდ საფრთხეს შეიცავს ქართული სახელმწიფოს არსებობისთვის.

პითაგორა

დიდი ევროპული კულტურის ძირებთან, ძველბერძნული შამანიზმი, დიდი პითაგორათი დავიწყოთ.

ძველი წელთაღრიცხვის მექვსე საუკუნის პირველ ნახევარში დაიბადა ერთი მოკრძალებული კაცი რომელსაც ერქვა პითაგორა. მას არ უნდოდა იმის თქმა რომ არის ბრძენი, სოფოსი. ამიტომ მან გამოიგონა ცნება ფილოსოფია, რაც ნიშნავს სოფიის ანუ სიბრძნის სიყვარულს.ის ამბობდა რომ ბრძენი არის მარტო ღმერთი და ის კი არის ფილოსოფოსი ანუ სიბრძნის მოყვარული და მაძიებელი. ესოდენ მოკრძალებული პითაგორა გახლდათ დიდი მათემატიკოსი, მუსიკოსი, რელიგიური და პოლიტიკური თემის დამაარსებელი. ამ თემში იკვლევდნენ ურთიერთობებს ღმერთებს, ფიზიკურ სამყაროსა და ადამიანებს შორის. ცნება ფილოსოფიის შემქმნელი ეს მითიურ-ისტორიული ფიგურა ასევე იყო შამანიც. ამას ამბობს ოქსფორდის პროფესორი დოდსი თავის დიდად საინტერესო წიგნში „ირაციონალური ბერძნები“.

პითაგორა იყო დიდი ძველი ბერძენი შამანი. ემპედოკლე ამბობდა რომ ლაო ძის, ბუდას და ზარატუსტრას დროს მცხოვრებმა პითაგორამ თავისი უზომო სიბრძნე დააგროვა ოცი ადამიანური ცხოვრებით ცხოვრების პროცესში. პითაგორას სწამდა რომ ადამიანის სული შეიძლება ჩასახლდეს ძაღლშიც. ჩვეულებრივ ამბობენ რომ პითაგორამ თავისი ცოდნა მიიღო ორფიზმიდან მაგრამ პითაგორა შეიძლება არც ყოფილიყო უშუალოდ დამოკიდებული რაიმე ორფიკულ წყაროზე. პითაგორასაც და მანამდე ეპიმენიდსაც გაგონილი ჰქონდათ იმის შესახებ რაც სწამდა ჩრდილოეთის ხალხს, რომ გარდაცვლილი შამანის სული შეიძლებოდა ჩასახლებულიყო ცოცხალ შამანში რათა გაეძლიერებინა ცოცხალი შამანი და მეტი ცოდნა მიეცა მისთვის.

პითაგორამ შექმნა ერთგვარი რელიგიური ორდენი, მამაკაცთა და ქალთა თემი რომლის წესდებას განსაზღვრავდა მომავალ ცხოვრებათა მოლოდინი. შეიძლება იყო პრეცენდენტებიც.გავიხსენოთ ჰეროდოტესთან ვინმე თრაკიელი ზალმოქსისი, რომელმაც შეკრიბა „საუკეთესო მოქალაქეები“ და უთხრა მათ არა ის რომ ადამიანის სული უკვდავია, არამედ ის რომ ეს საუკეთესო მოქალაქეები და მათი შთამომავლები იცხოვრებდნენ მუდამ.

პითაგორაც თავის მოწაფეებს ეუბნებოდა რომ ისინი ამქვეყნად დაბრუნდებიან დემონების, მეტიც, ღმერთების დასასრულის შემდეგ. კარგად დავაკვირდეთ ფილოსოფოს და შამან პითაგორას მოკრძალებულმა პითაგორამ თქვა რომ ისაა სიბრძნის მოყვარული, ფილოსოფოსი და არა ბრძენი. მაგრამ ეს მოკრძალებული კაცი იყო მათემატიკოსი და მუსიკოსი, ნამეტანი ცელქი ოლიმპიელი ღმერთებით სავსე ოფიციალური ბერძნული ოლიმპიური რელიგიით უკმაყოფილო პითაგორამ ამ რელიგიისგან განზე დაარსა თავისებური რელიგიური თემის და სკოლა. პითაგორამ გამოიყვანა კაცობრიობის აზრი ბავშვობიდან, მითებიდან და ზღაპრული ისტორიებიდან, მან დაუდო საფუძველი თეორიულ, მორალურ და პოლიტიკურ რაციონალობას იმით რომ მან საგანთა პრინციპად გამოაცხადა რიცხვები და ჰარმონიები. პითაგორა მოუწოდებდა ვნებების, სიხარბის და ანგარების მოთოკვისკენ, მეგობრობაზე და სამართალზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ცხოვრებისკენ ამით ის განასახიერებდა სიბრძნის გარკვეულ ფორმას. სამაგიეროდ ივიწყებენ რომ ფილოსოფოსი პითაგორა ამავე დროს იყო ერთგვარი შამანი თუ ჯადოსანი. პითაგორა თვითონ ლაპარაკობდა თავის შამანურ ფესვებზე და იმაზე რომ რამოდენიმე თაობის წინ, წინა ცხოვრებაში, ის იყო ვინმე ერმოტიმ კლაზომენელი. ამას გარდა პითაგორა ურთიერთობდა სახელგანთქმულ შამანებთან. ის შეხვდა ჰიპერბორეელი აპოლონის მსახურ აბარის სკვითს და ასწავლა მას მისნობა რიცხვებით და არა პირუტყვების ნაწლავებში. ის იყო სახელგანთქმული ეპიმენიდე კრეტელის მოწაფე. ეპიმენიდემ კი დიდებულად იცოდა მცენარეთა ძალა და მას ორმოცდაჩვიდმეტი წელი ეძინა (რამხელა ტრანსი/) რაღაც გამოქვაბულში. ასეა რომ გეომეტრ და ფილოსოფოს პითაგორას გადმოცემით ჰქონდა საოცარი უნარები, მაგალითად მას შეეძლო მიცვალებულებთან ურთიერთობა. მას შეეძლო თავისი სულის გამოყოფა თავისი სხეულისგან და მისი სული მოგზაურობდა ციურ სფეროებში, ის უსმენდა კოსმოსის მუსიკას, ის ვარდებოდა ხოლმე ექსტაზში და ჭვრეტდა ღვთაებრივ ფენომენებს, და ასე შემდეგ. პითაგორას ძალუძდა სიტყვით და არსებობით ადამიანთა და პირუტყვთა მონუსხვა. ის იყო მკურნალი რომელსაც გალობით, შელოცვებით, ნარკოტიკებით შეეძლო ადამიანთა დაძინება ან გაღვიძება, სტიმულირება, განწმენდა ან მოშხამვა. ყველაფერი ეს არის ტიპიური შამანური უნარები. პითაგორას სწამდა სულის უკვდავებისა და სულთა ტრანსმიგრაცია-გადასახლებისა. ბერძნული ტრადიციის თანახმად პითაგორად დაბადებამდე მან სხვათა ცხოვრებით იცხოვრა. პითაგორას სხეულში ჩასახლებამდე მისი სული უნდა ყოფილიყო ძლიერი ღმერთის შვილის, მამაცი მეომრის, საოცარი ძალების მქონე შამანის და მოკრძალებული მეთევზის სხეულებში. ის იყო ჰერმესის ვაჟიშვილი აქალიდე. ჰერმესმა ამიტომ უთხრა უკვდავების გარდა ისურვე რაც გინდა და მიიღებო. პითაგორამ თქვა რომ უნდოდა დამახსოვრება და გახსენება ყველაფრისა რაც მას გადახდა და გადახდებოდა. დავიწყების და სიკვდილის წინააღმდეგ მებრძოლმა ფილოსოფოსმა-შამანმა პითაგორამ აღარ დაივიწყა თავისი წინა ცხოვრებები. მას მუდამ ახსოვდა თუ ვინ იყო და რა ცხოვრებებით იცხოვრა. ეს არ გახლავთ ჩვეულებრივი მოკვდავის ბედი. ასეთი იყო პითაგორა ძველი ბერძნული ტრადიციის თანახმად. ჰომეროსის „ილიადას“ თანახმად პითაგორას სული იყო ტროას წინააღმდეგ მებრძოლი აქეელების გვერდით მეომარი ევფორის სხეულშიც. შემდეგ პითაგორა გახდა აპოლონის სამსახურში მდგარი შამანი ერმოტიმ კლაზომენელი პითაგორას სულს ძალუძდა თავისი სხეულის დატოვება და სხეულისგან დამოუკიდებლად მოგზაურობა.

ჩვიდმეტი წლის პითაგორამ მონაწილეობა მიიღო ორმოცდამეჩვიდმეტე ოლიმპიადაში, სადაც თავი გამოიჩინა კრივში. ის ადამიანების ყურადღებას იპყრობდა თავისი ღვთისმოსაობით, სხეულის ფლობით, სულიერი წონასწორობით და სიმშვიდით, დამღუპველ ვნებათა მოთოკვის უნარით, იმით რომ არ ყოფილა ხარბი და ანგარებიანი, ფუქსავატი ვინმე. სამოსზე მას უყურებდნენ როგორც ნახევრად ადამიანს და ნახევრად ღმერთს. ჩვიდმეტი წლის პითაგორამ დატოვა თავისი მშობლიური ქალაქი და დაიწყო მოგზაურობა რათა გაკვეთილები მიეღო უცხოელი შამანებისგან და ბრძენებისგან. ის იყო სირიაშიც, მილეთშიც, ეგვიპტეშიც. ეგვიპტეში მემფისის და დიოსპოლისის ქურუმებმა მას ასწავლეს გეომეტრია, ასტრონომია, დიოსპოლისის მისტერიები ...ეპიმენიდეს ტრანსი...

პითაგორამ დაარსა მისი სიბრძნის სწავლის მსურველთა თემი. ის თემის წევრებს არჩევდა მათი ინტელექტუალური და მორალური თვისებების მიხედვით. პითაგორა აკვირდებოდა თემის წევრობის კანდიდატთა პიროვნულ თვისებებს. იმას თუ რა ურთიერთობები ჰქონდათ მათ ახლობლებთან. შეეძლოთ თუ არა მათ ემოციების, ჯავრის მოთოკვა, რითი იყვნენ დაკავებულნი, რა სურვილები ამოძრავებდა მათ, მათ მეგობრებს, შეეძლოთ თუ არა მათ კონცენტრაცია და გაკვეთილების მოსმენა. პითაგორა თვლიდა რომ ფილოსოფოსად გახდომამდე ადამიანს უნდა ესწავლა თავისი სიხარბე-ანგარების დაძლევა, ემოციების, ჯავრის მოთოკვა, ამოძირკვა იმ თვისებებისა რომლებიც თანდათანობით გუდავენ სულს. ჯერ მორალურად განიწმინდე და მერე შეუდექი ფილოსოფიის სწავლას, ეს იყო პითაგორას პრინციპი. უნდა ამოიშანთოს მნგრეველი ვნებები რაც გაანთავისუფლებს სულის ინტელექტუალურ ნაწილს. ასკეზა იყო წამალი რომელიც სპობდა ზედმეტს და ხელს უწყობდა სულის გამოღვიძებას. პითაგორა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოწაფეთა ფიზიკურ ასპექტს, სხეულს. შემდეგ დაწესებული იყო ხანგრძლივი რვა-წლიანი გამოსაცდელი ვადა. სამი წლის მანძილზე მოწაფეს ყურადღებას არ აქცევდნენ. პითაგორა მაშინ აფასებდა ახალგაზრდა მოწაფეთა მონდომებას. კიდევ საჭირო იყო დუმილის ხუთი წელი. პითაგორა მოწაფეებს ელაპარაკებოდა ფარდის უკან დამალული. მოწაფეებს ესმოდათ მოძღვრის ხმა, მაგრამ მათ არ შეეძლოთ მოძღვრის დანახვა ასე იცდებოდა მოწაფეების ხასიათის სიმტკიცე და მათი თავშეკავების უნარი. სწავლის წლების დროს მოწაფეების ქონება საერთო უნდა ყოფილიყო. ყბედებს და იმათ ვინც არ იცავდა აკრძალვებს უკან სახლში უშვებდნენ. ასკეზა იყო წამალი რომელიც სპობდა ზედმეტს და ხელს უწყობდა სულის გამოღვიძებას. განწმენდის და მომზადების ამ მძიმე პერიოდის შემდეგ მოწაფეებს გადაარჩევდნენ მათი უნარის და მონდომების მიხედვით. ყველაზე უნარიანები და მონდომებულები ხდებოდნენ პითაგორას თემის საქმეთა მმართველები. პოლიტიკური მეცნიერების ფუძემდებელი პითაგორას თქმით საზოგადოების, ქვეყნის სათავეში უნდა იდგეს ნასწავლ-სწავლული და მორალურად განწმენდილი ელიტა. თვითონ მისი საზოგადოება იყო წარმოდგენილი როგორც ასეთი სახელმწიფოს მოდელი.საზოგადოდ ინდოევროპელების მსგავსად ის საზოგადოებას ყოფდა სამ სოციალურ წოდებად, მწარმოებლებად, მეომრებად, მეფე-ქურუმებად. პითაგორას უნდოდა საზოგადოების, სახელმწიფოს მათემატიკურად და რაციონალურად აგება. მისი კანონები ხელს უწყობდა ოჯახს, ითხოვდა კანონების და მოხელეთა პატივისცემას. პითაგორას მოძღვრების ნაწილი ს გაცნობა შეეძლო ყველას. ყველას უნდა სცოდნოდა, მაგალითად, რომ აკრძალულია ლოცვა საკუთარი თავისთვის და რომ მეგობრებს შორის ყველაფერი საერთოა. პითაგორას მოძღვრებას აქვს კიდევ ეზოთერული, მარტო ინიციირებულ-მომზადებული მოწაფეებისთვის განკუთვნილი ნაწილიც. აქ ლაპარაკია ბუნების და ღმერთების საიდუმლოებებზე. მოძღვრების ჩაწერა აკრძალული იყო. /(რათა ის არ მოხვედრილიყო დეგენერატების და მავნებლების ხელში). მოწაფეს პითაგორას მოძღვრება უნდა დაემახსოვრებინა. ფილოსოფოსი-შამანი თუ შამანი-ფილოსოფოსი სიბრძნის დიდად მნიშვნელოვანი ნაწილი იყო კვების სიბრძნეც. პითაგორას თანახმად საკვები მოქმედებს ჩვენს ტემპერამენტზე და გონიერებაზე. პითაგორა მიზნად ისახავდა ჰარმონიული პროპორციების დადგენას სასმელს, საჭმელს და დასვენებას შორის. საკვების მომზადებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა ვიცოდეთ თუ როგორ მოქმედებს ჩვენს ტემპერამენტზე ყოველი სასმელი ან საკვები. უნდა ვიცოდეთ თუ სასმელ-საჭმელის როგორი პროპორციები, როგორი ნარევები და ოდენობები არის ყველაზე შესაფერისი ჩვენი ინდივიდუალური ბუნებისთვის და სულისთვის.

პითაგორამ იცოდა მუსიკის გამოყენება წამლად ან ნარკოტიკად. ის თვლიდა რომ მუსიკით შეიძლება როგორც ფიზიკური ისე სულიერი ავადმყოფობების განკურნება. შესაბამისი მელოდიებით და რიტმებით პითაგორას ჰარმონიაში მოჰყავდა მოწაფეთა სულის სხვადასხვა ნაწილები. პითაგორა ასე აქრობდა რისხვას, ჯავრს, დარდს, ნაღველს, შურს თუ ეჭვს. მუსიკა არსებით როლს ასრულებდა პითაგორას თემის ცხოვრებაში. კარგ, შესაბამის დროს დაკრული მუსიკა ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობას. ასე მაგალითად გაზაფხულზე პითაგორას სკოლის მოწაფეები სხდებოდნენ წრედ და აპოლონის საკრავი ქნარის თანხლებით გალობდნენ. გალობის, მუსიკის ჰარმონია და რიტმი ბედნიერების განცდას უჩენდა მგალობლებს და მათ მსმენელებს. სხვა სიმღერები ამშვიდებდნენ ვნებებს, ჯავრს, სასოწარკვეთილებას, წადილებს... შესაბამისი მუსიკა ამშვიდებს, აფხიზლებს, ამხნევებს ადამიანს, მაგრამ არის სხვა, ადამიანური კი არა, კოსმიური მუსიკაც. ვარსკვლავები ცაში მოძრაობისას გამოსცემენ ხმებს რომელთა აღქმა ძალიან ცოტა ვინმეს თუ ძალუძს.

პითაგორული ტრადიციის თანახმად ყოველ ახალშობილს ესმის ციური მუსიკა. ახალშობილები ტკბებიან ციური სფეროების ჰარმონიულ მოძრაობისას გამოცემული ხმებით. მათი სრულყოფილი აკორდებით ამიტომაა ნეტარი ახალშობილთა სახე.

ჩვენი ცხოვრება ბედნიერი რომ იყოს მან უნდა მიიღოს პლანეტების წყობის რიტმები და მუსიკალობა. ესაა დიდი პითაგორას პროგრამა.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ვანო ჩხიკვაძე

აგვისტო

გავლებულია ყველგან საზღვარი.
აქეთ — მშიერი, იქით — მაძღარი.
ცოტა მტყუანი, ბევრი მართალი
მიდის, ან უკვე გზამართალს არი,
და ნარიყალზე მიედინები
გაჯერებული შხამით, სამსალით.

აისბერგს ისევ წაჰკარი ქიმი —
გიტევს მეკობრე და მოძალაობს,
რომ ჩაიხსილოს მუმლით და მღილით
კავკასიონის თეთრი მარაო.

ესეც აგვისტო —
დაშლილ, ნაწამებ,
სხეულს გიდუნებს —
ბედის მორჩილი,
მავთულხლართების ეკლის ნაწნავით
ათი წელია ხარ გაბოჭილი.

ვერ გთმობს ძველი და მოდის ახალი,
მტერი — კრაზანას გულქვა ნაყარი,
თუ გინდა თავი ლოდებს ახალე,
ლხინი იქა და ჭირი აქ არი.

გაბრუებული ბოლმის თრიაქით,
გამარჯვებული მოდგმა იცინის,
და გაღუნული დგას პატრიარქი
დაცოტავებულ ქვეყნის სიმძიმით.

კვლავ სისხლმდინარე ჭრილობებს იხვევ,
იწვი უცეცხლოდ, იწვი უალოდ,
— გაიღე-მეთქი! —
სიყრუის ციხეს,
ირგვლივ როდემდე უნდა ვუაროთ.

როცა ასეთი ზიზღი მძვინვარებს,
დუღს კუპრის ქვაბი —
შხამი გროვდება,
ნუ გაიკვირვებ, რად მეორდება
ლამისყანელის ჩანგის გოდება.

ვის ელოდება ეს ბალდახინი,
რად არ იწრთობი გრდემლზე მახვილო,
— ერო, უენო სოფლის ნახირო! —
დასძახი, თვალი რომ გაახილოს.

გავლებულია ყველგან საზღვარი,
აქეთ დევნილი, იქით დევნილი,
და ჩვენს თვალებში, დარდით ჩამშრალი,
უფლის ცრემლივით ხარ ჩარჩენილი.

დაგანაკუწეს ეკლის ტვიფარით,
ველებზე უცხო ჭანგა ბალახობს.
ქართლი ხელივით ჩრდილს აიფარებს
დედის ცრემლი რომ არ დაგვანახოს.

ჩქარა, იმედის სხივი აანთე,
ვიდრე თავის წილს მიწა მიხედავს
და გასაგზავნი, ვით ამანათი,
სული სასულეს გადამიკეტავს.

გაიღვიძებენ მიწის ფორები,
აგვისტოს სუსხით ნაამბორები,
შეთრთოლდებიან აქ ნაომრების
დაუშრობელი სისხლის ტბორები.

დაგვასვირინგეს ეს ავტოგრაფი,
მკვლელი მუხლუხი,
ზარბაზნის ტუჩი.
საოცარია, ჩემს სამშობლოში,
თუ ვინმეს უჭირს,
ჩემს ჯილაგს უჭირს.

ჩამსხვრეულია ჟამი — ვიტრაჟი,
თუ გავჩუმდებით, ავის მდომელი,
კვლავ ძველებურად მოგითარეშებს
ულმერთოების დრო, ულმობელი.

ძველი წაშალონ, ცდილობენ ფიქრებს,
ახალი სლენგის ხავსი მოედოს,
უნდათ, რადგანაც უსმენ და ითმენ —
თან იყომარონ, თან „იპოეტონ.“

გაძარცვეს შენი სიბრძნის მშვენება,
სიტყვა, ემბაზში ჩამონათალი.
ვეღარ გაიგე, რატომ ერევათ
ეშმაკის ბანგში ღვთის სამართალი.

„ჩაკრულოთი“ და ლოცვით ნაქარგო
მშობელო ჩვენი თავდავიწყების,
ღმერთო, რამდენი ფერი დაკარგე,
ღმერთო, რამდენი შანთით იწვები.

გაგწირეს, დაგთმეს, ცხენიც შეკაზმეს,
ძვირად დაგვიჯდა მათი კრუალი.
ნუთუ ვერ შობე (ყალბ დიდებაზე),
კაცი, შენს გამო რომ თქვას უარი.

ნალი გავცვითე,
გული დავღალე,
ქანცგაწყვეტილმა გძებნე ნაგვემი.
დიდხანს ძველი და ვეღარც ახალი,
გზებით, რა ვქნა, მეც ვერ მოგაგენი.

დგას ტრიბუნაზე ნაპატიები,
ვინც უნდა გლეჯდეს ხელით მარწუხებს,
არ შეიძლება, ასე მშიერი,
ქვეყნის პატრონი რომ გადასუქდეს.

წავიდა, გაჰყვა დორბლის შრაპნელი,
დაძრწის — „მესიჯობს“ თუ „მიქაუნთობს“,
ვისაც შეცდომით ჰქვია ქართველი,
ვინც ძალადობას მწვანე აუნთო.

დაგთმო, გაგყიდა, სილა გაიწნა —
ყარს მოღალატე კაცის სახელიც,
სულივით, იცი, თუკი გაიხრწნა,
ისე არ ლპება სხვა არაფერი.

ვთქვი — ერუსალიმ, საკეტურები,
ისევ რომ დაგხსნან, ვისი რიგია.
რა გულით გძინავს,
როცა ამკლები
კართან ამდენი ძაღლი გვიბია.

ესეც აგვისტო,
მემატიანე
„ძვირფას“ თარიღებს გვერდით მიუსვამს,
კალენდარზე რომ კუთავს რვიანი,
როგორც ფაკირის ცხვირწინ გიურზა.

თუ არ ვახსენეთ, არ დაფასდება,
შერკინებული ფლიდ და დაუნ დროს —
წმინდა სახელი, შენს დასახსნელად,
ვინც მონღოლს კუნძზე თავი დაუდო.

ესეც აგვისტო —
ციხევ, უკარო,
კვლავ მოვგროვდებით შენი ობლები,
ოღონდ არ გვკითხო, ჭირისუფალო,
მუხრანის ველზე ვის ველოდებით...

მაინც ოფლით და ღვთით მოწეული,
ძველებურ ეშხში შედის მწიფობა.
წითლად ატამი და ბროწეული
გაღიმებული გადაიპობა.

თუ სული აღდგა, მაშინ სხეულიც
აღდგება-მეთქი!
შენ სახლს მშვიდობა!

შვების ფიალა დროა დაცალო,
თუმც კვლავ უჭირავს თვალი მაოხარს,
გიხმობს უფალი —
შენ ხარ ლაზარე,
ადრე თუ გვიან მაინც გამოხვალ.

19.VII.18

აშშ-ის ყველაზე უცნაური კანონები

ყველამ შესანიშნავად ვიცით, რომ ამერიკის კანონმდებლობა უნიკალურია. თითოეულ შტატს თავისი საკანონმდებლო ბაზა აქვს და უფლებამოსილია, ისეთი კანონებიც კი მიიღოს, რომლებიც რელობას არის მოწყვეტილი...

1. არიზონას შტატში აკრძალულია აქლემებზე ნადირობა.

მიზეზი: აშშ-ის არმია ოდესღაც გამწევ ძალად აქლემებს იყენებდა, ადგილობრივი მოქალაქეები კი, რომლებმაც არაფერი იცოდნენ სამხედრო ექსპერიმენტის შესახებ, აქლემებს ახალი ჯიშის

ველურ ცხოველებად მიიჩნევდნენ და მათზე ნადირობდნენ, რითაც დიდი ზიანი მიაყენეს ამერიკის თავდაცვისუნარიანობას. შედეგად, აქლემები სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლეს და ახლა ისინი ალაბამას ნახევარუდაბნოში ცხოვრობენ. მათზე ნადირობა ახლაც აკრძალულია.

2. კალიფორნიის შტატში აკრძალულია აბანოები.

მიზეზი: ეს კანონი ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოს მიიღეს, როცა აღმოჩნდა, რომ შიდს-ის ინფექციით დაავადებული ჰომოსექსუალები აბანოებში დასნებოვნდნენ. კანონი ეპიდემიისგან თავდასაცავად მიიღეს.

3. ქალაქ ლოს-ანჟელესსი აკრძალულია ბაყაყების ალოკვა.

მიზეზი: კანონი მას შემდეგ მიიღეს, რაც მოზარდებმა აღმოაჩინეს, რომ ზოგიერთი ჯიშის ბაყაყის ტყავი ჰალუცინოგენებს შეიცავს. ნარკომანები ბაყაყებს იჭერდნენ და ლოკავდნენ. კანონის მიღებამდე პოლიციამ მათთან ვერაფერი გააწყო.

4. ქალაქ ნორკოში კანონი მოქალაქეებს მარტორქების ყოლას უკრძალავს.

მიზეზი: ნორკოს არაოფიციალურად „არაჩვეულებრივი ცხოველების ქალაქის“ სტატუსი აქვს. ამ ქალაქის მცხოვრებლებს სახლებში ჰყავთ ვარანები, ნიანგები, ღორები, რომ აღარაფერი ვთქვათ ძაღლებზე, კატებზე, კურდღლებზე, ზღვის გოჭებზე და ა. შ. ცხოველები ზოგჯერ სახლიდან გარბიან. ერთხელ სწორედ ასე მოიქცა პატარა მარტორქა, რომელმაც ზიანი მიაყენა ადგილობრივ მწვანე ნარგავებს.

5. ქალაქ მობილში მამაკაცება აკრძალული აქვთ მგელივით ყმუილი.

მიზეზი: ოდესღაც ქალაქში დაბანაკებული იყო სამხედრო ნაწილი, რომლის სამხედრო მოსამსახურეებსაც სამკლავურზე მგლის გამოსახულება ჰქონდათ (ეს ის დროა, როცა აშშ ინდიელებს ებრძოდა და მგლის გამოსახულება მზვერავთა ქვედანაყოფის წევრთა სიმამაცეს, სიფრთხილესა

და ძალას გამოხატავდა). საღამოობით ჯარისკაცები ადგილობრივ ბარებში იყრიდნენ თავს და მგლებივით ყმუოდნენ, რაც მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევდა. სამხედრო ბაზა დახურეს, კანონი კი დარჩა...

6. ამავე ქალაქში ქალებს აკრძალული აქვთ წვრილქუსლიანი ფეხსაცმლის ტარება.

მიზეზი: ერთ ქალბატონს წყლის კოლექტორის სახურავში გაეჭედა ქუსლი და ფეხი მოიტეხა. მან ადგილობრივ მუნიციპალიტეტს უჩივლა და პროცესი მოიგო. ასეთი საჩივრებისგან თავი რომ დაეცვათ, ქალაქის მესვეურებმა გადაწყვიტეს, ახალი კანონი მიეღოთ, ვიდრე კოლექტორების სახურავები გამოეცვალათ.

7. ქალაქ ბოულერში აკრძალულია სახლის ზღურბლზე დივანის დადგმა. მიზეზი: ქალაქში მდებარეობს დიდი და ძალიან მხიარული უნივერსიტეტი. 2003 წელს ჟურნალმა US Nevw&World Report-მა ეს ქალაქი გართობის მოყვარულთათვის საუკეთესო ადგილად დაასახელა. სტუდენტები თავიანთ გამარჯვებებს კოცონების დანთებით აღნიშნავენ, რაც ხანძრის გამომწვევი მიზეზი ხდება, დივანი კი ამისთვის საუკეთესო საშუალებაა.

8. ფლორიდაში ყველა კარი გარეთ უნდა იღებოდეს.

მიზეზი: ხანძრის შემთხვევაში ადამიანებმა გარეთ გასვლა უფრო ადვილად რომ შეძლონ.

9. ქალაქ სისაიდში ღობეები თეთრად უნდა იყოს შეღებილი.

მიზეზი: ქალაქის ეკონომიკა ტურიზმის ინდუსტრიაზეა დაფუძნებული და ამიტომ ყველა სახლი ლამაზად უნდა გამოიყურებოდეს. მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა, რომ ამგვარი დიზაინი ქალაქს ზღაპრულ იერს მიანიჭებს და ტურისტებისთვის უფრო მომხიბვლელი გახდება.

10. ჰავაის შტატში გზებსა და საზოგადოებრივ ადგილებში აკრძალულია სარეკლამო პლაკატები.

მიზეზი: რეკლამამ ხელი არ უნდა შეუშალოს ტურისტებს ჰავაის პეიზაჟებით ტკბობაში.

11. ქალაქ ოვერლენდ-პარკში აკრძალულია დაკრძალვის დროს დემონსტრაციის მოწყობა.

მიზეზი: კანონი მიიღეს ერთი რადიკალი ქრისტიანის გამო, რომელიც ჰომოსექსუალების დაკრძალვებზე პლაკატებით ცხადდებოდა, სადაც ეწერა, რომ გარდაცვლილმა სიკვდილი დაიმსახურა და ღმერთმა ის დასაჯა.

12. მიჩიგანის შტატში აკრძალულია საზოგადოებრივ ადგილებში რვაფეხების სროლა.

მიზეზი: ამ კანონის მიღებამდე, ჰოკეის მატჩებში, რომლებშიც „Detroit Red Wings-ი მონაწილეობდა, გულშემატკივრები ყინულზე რვაფეხებს ისროდნენ. ამ ტრადიციას 1952 წელს ჩაყარა საფუძველი, როცა გუნდს უნდა მოეგო დარჩენილი რვა თამაში, თასი რომ მოეპოვებინა. პირველი თამაშის დასაწყისში ვიღაცამ მოედანზე რვაფეხა გადააგდო – თითო საცეცი თითო თამაშისთვის და გუნდი მაშინ ჩემპიონი გახდა.

13. ნიუ-ჯერსისა და ორეგონის შტატებში ადამიანებს არ აქვთ უფლება, დამოუკიდებლად ჩაასხან ბენზინი ავტომანქანის ავზში, მათ ავტოგასამართი სადგურის თანამშრომელი უნდა დაეხმაროს.

მიზეზი: ეს კანონი დიდი ხნის წინათ არის მირებული, მაშინ, როცა ადამიანებმა არ იცოდნენ, რომ ბენზინი ფეთქებადსასიშია და ავტოგასამართ სადგურზე მოწევა არ შეიძლება.

14. ჩრდილოეთ კაროლინის შტატში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეკრება ეკრძალებათ, თუ მათ წევრებს ერთნაირი კოსტიუმები აცვიათ.

მიზეზი: კანონი მიღებულ იქნა, რათა თავიდან აეცილებინათ ადგილობრივი კუ-კლუქს-კლანის აქტივისტების შეკრებები, რომლებსაც თეთრი ბალახონები ეცვათ.

14. მემფისში მათხოვრებმა შტატისგან „ლიცენზია“ უნდა აიღონ (რომელიც 10 დოლარი ღირს), რათა მათხოვრობის უფლება მიიღონ.

15. ტენესის შტატში ბოროტმოქმედებს აკრძალული აქვთ საკვნეტელას ტარება. მიზეზი: ველური დასავლეთის პირობებში ქურდები საკვტენელით მავთულებს ჭრიდნენ და საქონელს იპარავდნენ. ასეთი ქურდობა იმდენად ხშირად ხდებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს საკვნეტელას ტარება აკრძალეს.

17. დასავლეთ ვირჯინიის შტატში მოსწავლეს აკრძალული აქვს სკოლაში მისვლა, თუ მას ხახვის სუნი ასდის.

მიზეზი: შტატში იზრდება ველური ხახვის ჯიში, რომელსაც ძალიან ძლიერი სუნი აქვს და მისი გამოყენებიდან რამდენიმე დღეშიც კი საშინლად ყარს.

18. ამავე შტატში, თუ მძღოლი რომელიმე ცხოველს დაეჯახა, ის მანქანის მფლობელის საკუთრება ხდება.

მიზეზი: კანონი მიღებული იქნა, რათა თანხები დაეზოგათ ქუჩების გაწმენდის სამუშაოებზე, თანაც ბორბლების ქვეშ ხშირად ირმები ხვდებიან.

19. ვაშინგტონის შტატში თუ ვინმე დანაშაულის ჩასადენად ჩადის, წინასწარ პოლიციაში უნდა დარეკოს და საკუთარი განზრახვის შესახებ აცნობოს. მიზეზი: კანონი მიღებულ იქნა დანაშაულის რაოდენობის შემცირების მიზნით. სხვა ქვეყნებისა და შტატების მოქალაქეებს,

მიზეზი: კანონი მიიღეს, რათა თავიდან აერიდებინათ ღარიბების ბრბოს თავშეყრა ქალაქის ცენტრში მდებარე ღირსშესანიშნაობებთან, სადაც ტურისტები იკრიბებოდნენ.

16. ტექსასის შტატში მამაკაცებს აკრძალული აქვთ საკვნეტელას ტარება. მიზეზი: ველური დასავლეთის პირობებში ქურდები საკვტენელით მავთულებს ჭრიდნენ და საქონელს იპარავდნენ. ასეთი ქურდობა იმდენად ხშირად ხდებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს საკვნეტელას ტარება აკრძალეს.

17. დასავლეთ ვირჯინიის შტატში მოსწავლეს აკრძალული აქვს სკოლაში მისვლა, თუ მას ხახვის სუნი ასდის.

მიზეზი: შტატში იზრდება ველური ხახვის ჯიში, რომელსაც ძალიან ძლიერი სუნი აქვს და მისი გამოყენებიდან რამდენიმე დღეშიც კი საშინლად ყარს.

18. ამავე შტატში, თუ მძღოლი რომელიმე ცხოველს დაეჯახა, ის მანქანის მფლობელის საკუთრება ხდება.

მიზეზი: კანონი მიღებული იქნა, რათა თანხები დაეზოგათ ქუჩების გაწმენდის სამუშაოებზე, თანაც ბორბლების ქვეშ ხშირად ირმები ხვდებიან.

19. ვაშინგტონის შტატში თუ ვინმე დანაშაულის ჩასადენად ჩადის, წინასწარ პოლიციაში უნდა დარეკოს და საკუთარი განზრახვის შესახებ აცნობოს. მიზეზი: კანონი მიღებულ იქნა დანაშაულის რაოდენობის შემცირების მიზნით. სხვა ქვეყნებისა და შტატების მოქალაქეებს, რომლებიც დანაშაულს ჩაიდენენ ვაშინგტონის შტატში, დამატებით ამ კანონის დარღვევასაც უყენებენ ბრალად.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საქართველოს ტაბლოიდი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge